პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 34 ოთხშაბათი 14 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ტოკიოში პოლიციამ აკრძალა ანტიბოლშევიკური ორგანიზაციის მიტინგი.

რურის ოლქში მდგომარეობა თანდათან მწვავდება. [illegible] გამოცხადებულია საალყო წესები.

კრუპპის ქარხნის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა მათი დირექტორების დაპატიმრების გამო.

ნეაპოლში მოხდა ფაშისტთა მეორე ყრილობა.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა მადლობას უძღვნის საბჭოთა რუსეთს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აუწყებს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ თავისი მოვალეობის ასრულების დროს ბანდიტ-მენშევიკების ხელით ტრაღიკულად დაიღუპენ პარტიის წევრი ამხ.

ობოლაძე

და მისი ღირსეული ამხანაგები ბრძოლაში წითელი კომანდირები

სანიკიძე და ჩუბინიძე

კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭო და ქართული მსროლელი დივიზია იუწყებიან, რომ სამსახურის აღსრულების დროს 10 თებერვალს ბანდიტ-მენშევიკების ხელით უდროვოთ დაიღუპენ არმიის საუკეთესო წარმომადგენელნი: კომპარტიის წევრი

ამხ. ობოლაძე

და წითელი კომანდირები ამხ. ამხ.

სანიკიძე და ჩუბინიძე

მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომი და საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აუწყებენ რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომ ბანდიტ-მენშევიკების ხელით ტრაღიკულად დაიღუპენ: ს. კ. პ. დამსახურებული წევრი ამხ.

ობოლაძე

და წითელი კომანდირები:

სანიკიძე და ჩუბინიძე

ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტიკური განყოფილება ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დივიზიის მოწინავე მებრძოლ ამხანაგების

სამოსწავლო ათასეულის სამკომის ამხ.

საშა ობოლაძის

ათასეულის კომანდირის ამხ.

სანიკიძის

და

გუნდის უფროსის თანაშემწის ამხ.

ჩუბინიძის

ტრაღიკულად დაკარგვას, რომლებიც მხეცურად იქნენ დახოცილნი მენშევიკ ბანდიტების მიერ. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში. სასახლის ქუჩა № 5. საღამოს 6 ს. დაკრძალვა მოხდება 15 თებერვალს. გამოსვენება წითელ არმიელთა კლუბიდან დღის 3 საათზე.

კრ. 180—1—1

ღრმად დამწუხრებული ცოლი სონია ფირანის ასული ობოლაძისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულად სიკვდილს დაუვიწყარ მეუღლის

საშა (ალექსანდრე) ობოლაძისას

გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

126—1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი პირისუფალნი დედ-მამა დავით ტარიელის ძე და თედოსი, დები: ტატიანე და ნინო, ძმები: პანტელეიმონი, შალიკო, ამბროსი და გიორგი, სიძეები: მიხეილ ჩხეიძე და მ. ფენია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

პოლიკარპე დავითის ძე
სანიკიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

26—1—1

დიდი ამბების მოლოდინში

ამ უკანასკნელ ხანებში მთელი კაცობრიობის ყურადღება ორ მხარისკენ იყო მიქცეული: ერთი იყო რურის ოლქის ოკუპაცია იმპერიალისტური საფრანგეთის მიერ, გერმანიის მთელი ბუნებრივი სიმდიდრის ხელში ჩასაგდებათ და მით იმპერიალისტური ომის დროს გაწეული ხარჯების რამდენიმეთ მაინც დაფარვისათვის, მეორე კი ლოზანის კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო უმთავრესათ ოსმალეთ-ანტანტის საქმეებისა და ურთიერთობის მოსაგვარებლათ და დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების საკითხის გადასაჭრელათ.

პირველმა, რურის ოლქის ოკუპაციამ, ვერ მისცა საფრანგეთს ის, რასაც ეს უკანასკნელი მოელოდა; ვერ გაუმართლა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდა ამაზე საფრანგეთის მტაცებელი ბურჟუაზია. ჯერ-ჯერობით მან ვერ გაიტანა რურის ოლქიდან ქვანახშირი, რის გულისათვისაც მან გადასდგა ასეთი ნაბიჯი, ხოლო ხარჯები კი მის მიერ გაწეული ამ ოკუპაციისათვის მეტის მეტად დიდია. სამაგიეროთ ამ ოკუპაციამ მისცა საფრანგეთს სხვა რამე, რომელიც მისთვის ძალიან შემაძრწუნებელი და სახიფათოა. ეს სხვა რამე არის გერმანიისა და საზოგადოთ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასსების აღშფოთება ამ გაუმაძღარი იმპერიალისტების ბნელი საქმეების ჩასაფუშავათ. ამის თავდებია რევოლიუციონური პროლეტარიატის უამრავი პროტესტები და დემონსტრაციები (ახალი სისხლის მღვრელი ომის დაწყების წინააღმდეგ), რომლებიც ხდება ყველა ქვეყნებში. თვით საფრანგეთშიაც კი, სადაც მეტის-მეტი სიძლიერით თარეშობს რეაქცია, მუშები ქუჩაში გამოდიან და დემონსტრაციებს ახდენენ მთავრობის იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ, რითაც ამტკიცებენ სრულ სოლიდარობას გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან.

უკანასკნელი ცნობებით იმპერიალისტური საფრანგეთის თვით ჯარისკაცებიც კი, რომლებიც გაგზავნილი არიან რურის ოლქში მუშათა „ანარქიის“ ჩასაქრობათა და საფრანგეთის იმპერიალისტების „წესრიგის“ აღსადგენათ, თვით ეს ჯარის-კაცებიც კი იჩენენ ურჩობას თავის უფროსებისადმი და უარს აცხადებენ გერმანიის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებაზე. გერმანიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ერთმა ესკადრონმა უარი განაცხადა იმ მუშების და მოსამსახურეების წინააღმდეგ გამოსვლაზე, რომლებმაც მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია მეზობელ ქალაქში. საფრანგეთის ჯარის-კაცებმა განაცხადეს, რომ არ სურთ გამოვიდენ მოქალაქეთა წინააღმდეგ.

ეს შედარებით პატარა ფაქტია, მაგრამ მეტის-მეტად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი. ეს მაჩვენებელია იმისი, რომ საფრანგეთის ჯარის კაცებშიაც კი, სადაც მეტის-მეტად ძლიერია იმპერიალისტურ ჯარის დისციპლინა, იქაც კი შედის რევოლიუციონური ეპიდემიის ბაცილა და წყალს უმღვრევს საფრანგეთის იმპერიალისტებს, რითაც ძირი ეთხრება ამ უკანასკნელების ბატონობას საფრანგეთის და გერმანიის მშრომელ ხალხზე.

ასეთია ერთი მხარე იმ საყურადღებო დიდი მოვლენისა, საითკენაც მიქცეულია მთელი მსოფლიოს ყურადღება.

მეორე მხარეს წარმოადგენს ლოზანის კონფერენცია და მისი შედეგები. აქ, ლოზანაში, შეკრებილი იყვენ სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ უმთავრესათ ახლო-აღმოსავლეთის საკითხი.

რა მოგვცა მან? გადასჭრა მართლაც ეს უდიდესი საკითხი თუ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას დაინტერესებულ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა და დაიშალენ უნაყოფო ლაყბობის შემდეგ?

რომ ბურჟუაზიის ბატონობის დროს შეუძლებელია მტკიცე ზავის მიღწევა და ქვეყნად მშვიდობიანობის ჩამოგდება, ეს ძველის ძველი ამბავი და უდავო ჭეშმარიტებაა, რაც არა ერთხელ გვითქვამს და გაგვიმეორებია ჩვენ ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხების საყურადღებოთ.

მართლაც, ლოზანის კონფერენციაც გათავდა. ყველა მონაწილენი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებში და შეუდგენ თავიანთი მიზნების განხორციელებას საკუთარი ძალღონის მიხედვით და საერთაშორისო შეთანხმების გარეშე.

პირველი ნაბიჯი, როგორც მოსალოდნელი იყო, უნდა გადაედგა ოსმალეთს, იმ ოსმალეთს, რომელიც ვერსალის და სევრის ხელშეკრულებათა დადებისა და ძველი ოსმალეთის ნაკუწ-ნაკუწად დაჩეხის შემდეგ აღსდგა, თუმცა ბურჟუაზიული, მაგრამ მაინც განახლებული, და განდევნა თავის ეროვნულ მიწა-წყალიდან შემოსეული ევროპის იმპერიალისტები;

და კიდევაც გადასდგა მან ეს პირველი ნაბიჯი, პირველი თვითონ მისთვისაც. ოსმალეთის შეიარაღებულ ძალების სარდალს ქ. სმირნაში ხელახლა განუმეორებია ბრძანება მოკავშირე გემებისთვის დასტოვონ ნავთსადგურები. მოკავშირეებს კი მიუღიათ ინსტრუქცია იმ შემთხვევაში, თუ ოსმალოები თავს დაესხმიან, მიმართონ თავის მხრითაც იარაღს. რეიტერის სააგენტოს ცნობით ქ. სმირნის ნავთსადგურის შესავალი დანაღმულია და ნაპირებზე დადგმულია ბატარეები.

მეორე მხრით კი, როგორც ეს აღნიშნა ამხ. ჩიჩერინმა ბერლინის ჟურნალისტებთან ინტერვიუში, ინგლისის მუშებმა და ლიბერალებმაც კი შეიგნეს, რომ კერზონის წინადადებას შეუძლია გამოიწვიოს ახალი შეიარაღება, ახალი სავალდასაზღვო ტვირთი და ახალი ომის საფრთხე, ამიტომ, ამხ. ჩიჩერინის აზრით, შესაძლებელია ახლო მომავალში სეპარატიული ზავიც კი შეიკრას ინგლისსა და ოსმალეთს შორის.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ გაზ. „მორნინგ-პოსტის“ ცნობით ოსმალეთის დიპლომატიური წრეებში განწყობილება მოკავშირეებთან მოლაპარაკების განახლების საწინააღმდეგოა. და ის დათმობა, რომელზედაც წავიდა ისმეტ-ფაშა საეჭვოა, რომ მოწონებულ იქნეს ოსმალეთის ეროვნულ კრების მიერ. ამასთანავე, ოსმალური გაზეთი „ენი გიუნიც“ ხაზს უსვამს იმას, რომ ისმეტ-ფაშის დათმობა მოკავშირეებისადმი ახლა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

რომელი გაიმარჯვებს ამათგან, მიდრეკილება სეპარატიული ზავისკენ ოსმალეთსა და ინგლისს შორის, თუ კიდევ ხელახლა ომის გაგრძელება; ამის წინასწარი თქმა ძნელია. მაგრამ როგორი მდგომარეობაც კი არ უნდა შეიქმნეს, ერთი კი უეჭველია: როგორი სეპარატიული ზავიც კი არ უნდა შეიკრას, ის ხანგრძლივი არ იქნება, ვინაიდან ამას ხელს უშლის ანტანტის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობა ურთიერთ შორის.

ამიტომ ახლო მომავალში ან ერთი ან მეორე უნდა იქნეს. ან ხელახლა დიდი ომი უნდა ატყდეს რურის ოლქისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხის „გადასაჭრელათ“, ან-და კისერი უნდა მოუგრიხოს საერთაშორისო პროლეტარულმა რევოლიუციამ საერთაშორისო იმპერიალიზმს. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

დღევანდელი მდგომარეობა წააგავს 1914 წლის წინ არსებულ მდგომარეობას იმ განსხვავებით, რომ დღეს საერთაშორისო რევოლიუცია უფრო ახლოა თავის მომზადებით და სიძლიერით და დამხმარეთ ყავს ისეთი დიდი ძალა, როგორც წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდი კავშირი თავისი დაუძლეველი წითელი არმიით.

მორიგი ბოროტმოქმედება

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ქართველი მენშევიკები ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ წავიდნენ კონტრ-რევოლიუციის მიერ დაცდილ გზით, რომლითაც მიდიოდენ რუსეთის ესერები. ჩვენ გამოვააშკარავეთ მენშევიკების მოქმედება და საბუთით ხელში დავამტკიცეთ, რომ ისინი ემხრობიან და ეკუთვნიან საქართველოში მოთარეშე ბანდიტურ შაიკებს. ამ დღეებში ამ ბანდიტების ხელისგან დაეცნენ ამხ. ამხ. საშა ობოლაძე, ჩუბინიძე და სანიკიძე. რა არის ეს? შემთხვევითი ეპიზოდი ჩვენს ბრძოლაში ბანდიტების წინააღმდეგ თუ ლოღიკური ნაბიჯი პარტიის, რომელიც შესდგა თეთრ-გვარდიელთა ბანდიტიზმის გზაზე? ამ ცოტა ხნის წინად მენშევიკებმა გამოუშვეს ფურცელი, გაფრთხილებით, რომ ისინი ხელს მოჰკიდებენ ტერორს კომუნისტური პარტიის წევრების მიმართ. რომ მათი ამხანაგები პარიტეტულ კომიტეტიდან ჩვეული არიან ასეთ ბოროტმოქმედებას—ჩვენ ამაში არასოდეს ეჭვი არ შეგვქონდა. რომ მენშევიკებს, რომელთაც დაჰკარგეს ყოველგვარი დასაყრდნობი მშრომელ მასსებში და რომელნიც ბანდიტების სულის ჩამდგმელნი არიან, შეეძლოთ ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენა, ჩვენ აგრეთვე ამაშიაც დარწმუნებული ვიყავით, რასაკვირველია მენშევიკები გვეტყვიან ჩვენ, რომ მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამხ. ობოლაძის მკვლელობაში, სწორედ ისევე, როგორც წინედ ისინი უარყოფდენ თავის კავშირს ჩოლოყაშვილის ბანდებთან. სწორედ ასე იქცეოდენ მათი სულიერი მოძმენი რუსეთში—რუსეთის ესერები. რა აიძულებს მენშევიკებს დაადგენ კონტრ-რევოლიუციის ასეთ მოლიპულ გზას? საქართველო გლეხობის ქვეყანაა. გლეხობა, ეს ფართე სოციალური ბაზა არასოდეს მხარს არ უჭერდა მენშევიზმს, კიდევ მეტიც, ის ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი მისდამი. საქართველოს მუშათა კლასი საბჭოთა რევოლიუციის შემდეგ ორი წლის განმავლობაში საკმაოდ განთავისუფლდა მენშევიკური გავლენისაგან და ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს გამოვაშკარავებია მათი უძლურება უნიადაგობა მუშათა კლასში. აქედან გამომდინარეობს მენშევიკების ბლოკი ზოოლოგიური შოვინიზმის პარტიებთან ბლოკი აზნაურთან, თავადთან და ღვდელთან. ეს ბლოკი, რომელიც დარაზმულია პარიტეტული კომიტეტში უძლურია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში და პირველ შეტაკებისთანავე დამარცხებული რჩება. სცენაზე გამოდის ბანდიტიზმი. საზღვარ-გარეთ მოქმედებს აჯანყების კომიტეტი ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რომელიც საფრანგეთის ბირჟის მიერ უზრუნველყოფილი ფინანსების მხრივ, ორგანიულად უკავშირდება თვით ჩოლოყაშვილსაც. ბანდიტიზმში სულს ღაფავს. მენშევიკური აქციები ეცემა და წვრილ ბურჟუაზიული სული ეძებს რაიმე პოლიტიკურ პლატფორმას, რათა გაამართლოს თავისი კონტრ-რევოლიუციონური არსებობა. აქედან აიხსნება მკვლელობა ამხანაგი ობოლაძის, ხვალ კი შეიძლება მეორე, მესამე კომუნისტის. და რასაკვირველია ეს მკვლელობა შემთხვევითი არ არის. ხმალი, რომელმაც იმსხვერპლა ამხ. ობოლაძე და სხვა ამხანაგები, გალესილია იმავე ფრანკებით, რომელსაც საფრანგეთის კაპიტალი ჟორდანიას საშუალებით აწვდის ჩოლოყაშვილის ბანდებს მენშევიკურის ც. კ. ხელით. ეს მოღალატური მკვლელობა ახასიათებს გაკოტრებული გიჟების სრულ უძლურებას, რომელთაც ვერ გაუგიათ, რომ შეიძლება მოჰკლა კომუნისტები ათობით, ასობით და მეტი, მაგრამ არ შეიძლება კომუნიზმის მოსპობა, არ შეიძლება კომუნისტური პარტიის მოკვლა! მენშევიზმი შევიდა თავისი შინაგანი გახრწნის უკანასკნელ ფაზაში. მათ მიერ გათამამებული ბანდები შეუდგენ „აქტიურ მოქმედებას“. აქვე აღსანიშნავია, რომ თვით ჟორდანია და ძველი მთავრობა „მოუწოდებს მათ აქტიურ მოქმედებისაკენ ჰპირდება რა შეკვეთილ იარაღს და ფულს“ *).

რა ვუყოთ? ჩვენ ვღებულობთ გამოწვევას სოციალ ბანდიტების, რომელთაც სისხლში გაისვარეს თავისი ხელები და რევოლიუციონური მათემატიკის თანახმად დავხვრეტთ ერთის მაგიერ ათს, მაგრამ ჩვენ მაინც ვურჩევთ ჩვენს მტრებს ნუ შეგვეჯიბრებიან ჩვენ სროლაში. ეს საზიანო იქნება პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციისათვის, თუნდა რევოლიუციონური მათემატიკის თვალსაზრისით. კერძოთ ქართველ მენშევიკებისათვის უმჯობესი იქნება, თუ ისინი ყველა ბოროტ-მოქმედებათა ჯამს, რომელიც მათ ჩაიდინეს საქართველოს, ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა ფედერაციის მუშების წინაშე არ მიუმატებენ კიდევ ახალ და ახალ ბოროტმოქმედებებს.

სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც შესდგა თეთრგვარდიელების და ბანდიტიზმის გზაზე, ისტორიულად ვერ აცდება ბრალდებულის სკამს. ასე მოუვიდათ რუსეთის ესერებს, ასევე მოუვათ ქართველ მენშევიკებსაც. და მაშინ პარტია მთლიანად მიიღებს სათანადო სასჯელს საბჭოთა საქართველოს მშრომელთაგან!

დღეს ჩვენ მუხლს ვიდრეკთ რევოლიუციის სადარაჯოზე დაღუპულ ამხანაგების წინაშე. დღეს ჩვენ წყევა კრულვას ვუგზავნით მთელს პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციას.

რუბენი.

---

*) მოკლულ ბანდიტის ჯავლენიშვილის წერილიდან.

„ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტი“

ჩემი მოხსენების გამო ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ 9 თებერვლის სხდომაზე დაადგინა გაუქმებულ იქნეს სააქციონერო საზოგადოება „რუსკავტორგი“ და მიეცეს მას ორი კვირის ვადა ლიკვიდაციის მოსახდენად, ხოლო მთელი მისი ქონება გადაეცეს ამიერ-კავკასიის სასურსათო სახ. კომისარიატს და უკანასკნელს დაევალოს „ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის“ („ზაკხლებპროდუქტის“) მოწყობა არა სააქციონერო საზოგადოების, არამედ სახელმწიფოებრივ-სამეურნეო წარმოების სახით; ეს ორგანო დაექვემდებარება ამიერ-კავკასიის სასურსათო სახ. კომისარიატს.

რათა შევაფასოთ „ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის“ მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიურ ცხოვრებისათვის, საკმარისია აღვნიშნოთ ის ამოცანა, რომელიც ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატს მიეცა ამიერ-კავკასიის მაშტაბით მისი მოწყობისთანავე.

ეს ამოცანები მკაფიოდ არის აღნიშნული ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ მოწინავე მოღვაწის მიერ: ამიერ-კავკასიას არასოდეს არ მოეპოვებოდა საკმაო პური თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ყოველთვის საჭირო ხორბლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი გარედან შეჰქონდა და უმთავრესად კი ჩრდილოეთ კავკასიიდან; ამიტომ სასურსათო სახ. კომისარიატის მოქმედება არ შეიძლება შევზღუდოთ სასურსათო გადასახადის დაწესებით, გატარებით და აკრეფით. მახლობელ წლებში სასურსათო გადასახადი ამიერ-კავკასიაში შესაძლოა სრულიად გაუქმდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამავე დროს უნდა შესწყდეს სასურსათო სახ. კომისარიატის მუშაობა და არსებობა. სასურსათო სახ. კომისარიატის უმთავრესი მოვალეობაა მთელი ფედერაციის მცხოვრებთათვის საკმაო პურის მიწოდება ამ პურის არა მარტო ამიერ-კავკასიის საზღვრებში, არამედ ამიერ-კავკასიის გარედაც დამზადების საშუალებით.

რათა შესრულებულ იქნას ეს ამოცანა, რათა გავლენა მოახდინოს პურის ბაზარზე, ხოლო მომავალში შესაძლოა საპროდუქტო და საქონლის ბაზარზედაც და ამით ხელი შეუწყოს მანეთის სტაბილიზაციას, სასურსათო სახ. კომისარიატს თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს ელასტიური დამზადებელი აპარატი, რომელიც შეასრულებდა მის დავალებებს. ასეთ აპარატად შეიძლება გახდეს არა სააქციონერო საზოგადოება, რომელიც ცდილობს უპირველეს ყოვლისა გაადიდოს თავისი დივიდენდი და რომელიც ყველა თავის ოპერაციებს კომერციული თვალსაზრისით უცქერის, არამედ წარმოება, რომელიც არის თუმცა კომერციული, სამეურნეო, მაგრამ სახელმწიფოებრივ-კომერციული, სახელმწიფოებრივ-სამეურნეო.

ამ ჟამად, მაგალითად, თეთრი ფქვილის ღირებულება აზერბეიჯანში უდრის 550,000 მან., საქართველოში—1.000,000 მ. და მეტი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ფუთი ბრინჯი აზერბეიჯანში ღირს 1 მ. და 80 კაპ. ოქროთი, საქართველოში 2 მ. და 60 კაპ.—2 მ. და 70 კ. გირვანქა თეთრი პური ღირს თბილისში 15,000 მან., ბათომში 100 პროც. უფრო ძვირია. სოფ. სვიატოი კრესტის რაიონში (სტავროპოლის გუბ.) ფუთი ხორბალი ფასობს 15 მილ. მანეთი საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნებით; 1 ფუთის გადატანა ადგილიდან ბაქომდე ჯდება 7 მილიონი მანეთი. ხოლო თბილისამდე დაახლოვებით 13 მილიონი მანეთამდე. თუ მივიღებთ მხედველობაში ხორბლის დაფქვის დროს დარჩენილ ქატოს 33 პროცენტს, ფუთი ფქვილი თფილისში დაჯდება დაახლოვებით 40 მილიონი მანეთი საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნებით.

ეს მოკლე ცნობები საკმარისად ცხად ყოფენ იმას, რომ თუ ჩვენ გვექნება ისეთი აპარატი, როგორც „პურის პროდუქტი“ მისი განყოფილებებით როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებში, ისე დამზადების პუნქტებში, შეგვეძლება პურის ბაზრის დაპყრობა და მცხოვრებთათვის იაფ-ფასიანი პურის მიწოდება.

პურის პროდუქტების დამზადება შეიძლება სწარმოებდეს არა მარტო ფულის ნიშნებით ან ვალიუტით, არამედ საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოპერაციების საშუალებით, რისთვისაც ამიერ-კავკასიაში მოიპოვება ბევრი რამ ძვირფასი საქონელი, რაც საბჭოთა რუსეთისათვის არის საჭირო.

შევნიშნავ, რომ „პურის პროდუქტში“, რომელიც მოეწყობა ჩემ მიერ მოყვანილ პრინციპების მიხედვით, შეიძლება თავმოყრილ იქნას რესპუბლიკების სასურსათო სახ. კომისარიატების ყველა კომერციული წარმოებანი.

კასპიის ზღვის მდიდარი თევზის მრეწველობანი, რომელიც დღემდის იმყოფებოდა ნაწილობრივ ადერბეიჯანის, ნაწილობრივ საქართველოს და ნაწილობრივ საბჭოთა რუსეთის განკარგულებაში, ეხლა გაერთიანებული იქნება. ამ მრეწველობის პროდუქცია დიდია და დიდი ღირებულებაც აქვს მას. თევზის მრეწველობის მომავალ გაერთიანებულ აპარატის სავაჭრო მოქმედება შეიძლება შეთანხმებულ იქნას „პურის პროდუქტის“ მოქმედებასთან.

ქ. ბაქოს დიდი წისქვილები, რომელიც „ადერბეიჯანის სასოფლო-მრეწველობის“ განკარგულებაში იმყოფება შეიძლება გადავიდეს „პურის პროდუქტის“ განკარგულებაში.

„პურის პროდუქტის“ მოქმედების გაფართოების სხვა მრავალი შესაძლებლობანი იმყოფება ამიერ-კავკასიის სასურსათო სახ. კომისარიატის განკარგულებაში.

„პურის პროდუქტის“ საორგანიზაციო სტრუქტურა მუშავდება. სულ ახლო მომავალში დაარსებული იქნება საჭირო ტეხნიკური აპარატი და „პურის პროდუქტი“ შეუდგება თავის პასუხსაგებ საქმეს, და შეეცდება ტყუილ უბრალოთ არ დაკარგოს არც ერთი დღე მოსამზადებელ ოპერაციების საწარმოებლად ისეთ საშურ დროს, როგორიც დღევანდელი მომენტია.

დ. ბუნიატ-ზადე

პრესა

51/2 600
560

ერრიო და რუსეთ-საფრანგეთის დამოკიდებულება

ერრიო, ბელადი საფრანგეთის რადიკალების, რომელიც როგორც ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, ეწვია შარშან საბჭოთა რუსეთს და საფრანგეთში დაბრუნებისას აღძრა ენერგიული კამპანია რუსეთთან დაახლოების სასარგებლოთ, ათავსებს გაზ. „პრაგერ პრესს“-ში წერილს ამავე საგანზე.

ის სწერს:

„საბჭოთა მთავრობას ეკუთვნის მომავალი, რადგან მას მხარს უჭერს გლეხობა, რომლის მოთხოვნებს ფართოთ აკმაყოფილებს ის. ამიტომ საჭიროა დავივიწყოთ ინტერვენცია, ბლოკადა და სხვ. მივანებოთ უნდა თავი ყოველივე ამას. ძალადობით ვერასოდეს ვერ მივაღწევთ. შეიძლება მოეწყოს აქ თუ იქ ვინმეს მოკვლა ან პოგრომები, მაგრამ ამით არა გამოვა, რადგან რუსეთს საერთოთ სურს მშვიდობიანობა და თავისუფალი შრომა. შეიძლება დადგეს დღე, როდესაც ამოიჭრება უფსკრული რუსეთის სახელმწიფოსა და კომინტერნს შორის. საჭიროა შევსწყვიტოთ ბლოკადა და აღვადგინოთ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობანი. მაშინ ჩვენ ვითანამშრომლებთ მასთან ერთათ, რათა აღვადგინოთ ევროპის დიდი ოჯახი. მაშინ ჩვენ გულწრფელათ შევხვდებით. ჩვენ, ფრანგებს, გულწრფელათ გვსურს ეს“.

როგორი იქნება დამოკიდებულება კომინტერნსა და „რუსეთის სახელმწიფოს“ შორის—ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ სხვა აზრის, ვინემ არის ბ. ერრიო. იგივე აზრთა სხვა და სხვაობა ბუნებრივია ჩვენ შორის **ბურჟუაზიული** ევროპის ოჯახის გამომრთელების პერსპექტივების შესახებაც. ცხადია ისიც, რომ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსს მხოლოთ მაშინ მიაჩნია შესაძლებლათ **„გულწრფელი“** კავშირი რუსეთთან, როდესაც ფაქტათ იქცევა ევროპის ეს „ოჯახი“ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნიადაგზე, რომელმაც მისი გეგმით უნდა ჩაითრიოს რუსეთიც. ჩვენ ყოველი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ—ისევ წინააღმდეგ ბ. ერრიოს მსგავს პოლიტიკოსებისა—რომ ბურჟუაზიული წესწყობილება ვერ შექმნის სახელმწიფოთა შორის **გულწრფელ** კავშირს, როგორც ვერ შეუქმნია მას ასეთი კავშირი წარსულში, პირიქით დაუღვრია სისხლი და აუმხედრებია ხალხი ხალხების, სახელმწიფოები ან მათი კავშირები სახელმწიფოების ან მათი კავშირების წინააღმდეგ. ყოველივე ამაში ჩვენ და ერრიოს შორის დიამეტრალური საწინააღმდეგო შეხედულებანი არსებობს, ამ საკითხებში ჩვენ ერთი მეორისას ვერას გავიგებთ და როგორც იტყვიან, ამ საკითხებში ჩვენ ერთი ერთმანეთისათვის ბარბაროსები ვართ. მაგრამ, მიუხედავათ ყოველივე თქმულისა, „ნორმალური“ ურთიერთობის დამყარება საბჭოთა სახელმწიფოებისა და ბურჟუაზიულ ქვეყნების—მათი რიცხვიდან საფრანგეთის—შორის შესაძლებელია და აუცილებელიც, რადგან ჩვენ გარდამავალ ხანაში **ფაქტია** არსებობა როგორც პირველების ისე მეორების. ეს საჭიროა ორივე მხარისთვის და რამდენადაც ამის აუცილებლობის აზრი დაიპყრობს ოფიციალურ წრეებსაც საფრანგეთში—მით უკეთესი.

* *

იმავე საკითხის, საფრანგეთ-რუსეთის დამოკიდებულების, შესახებ შემდეგი განუცხადა პარიზის გაზ. „სლოვო“-ს რუსეთში გაგზავნილ საფრანგეთის „წითელი ჯვრის“ მისიის თავმჯდომარემ გრაფ გრანჟმა:

„ჩემის აზრით. საჭიროა საფრანგეთმა იყოლიოს ახლა რუსეთში სავაჭრო მისია. იქნება ეს მისია ოფიციალური თუ ოფიციოზური—საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეებმა უნდა გაგზავნონ ის. უნდა გითხრათ, რომ, რამდენადაც მე ვიცი, საფრანგეთის მთავრობის წრეებს ჰქონდათ აზრათ ასეთი მისიის გაგზავნა იქ.

ჩემი პირადი აზრია, რომ არ არის გადაჭრით უარსაყოფი ბოლშევიკების წინადადება იმის შესახებ, რომ ძველ მესაკუთრეებს გადაეცეს მათი ძველი წარმოებანი მხოლოდ 20-დან 40 წლის ვადით. პირიქით ეს წინადადება ღირსია მთელი ჩვენი ყურადღების. ამასვე უნდა დავძინო, რომ ამ აზრს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ, იზიარებს ჩემთან ერთათ საკმაოთ დიდი ნაწილი საფრანგეთის მრეწველების“.

მიუხედავათ რუსეთის ყოფილ მრეწველების ცდისა, რომლებიც კერძოთ საფრანგეთში დიდ ჰაპანწყვეტაში არიან რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების ხელის შესაშლელად, აზრი ამ ურთიერთობის უკვე პრაქტიკულათ განხორციელების შესახებ იპყრობს დაინტერესებულ წრეებს. ამ კამპანიაშიც ისევე მოიტეხენ კისერს თეთრგვარდიელები, როგორც სხვა თავიანთ მუშაობაში საბჭოების წინააღმდეგ.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

გაფიცვა.

ჰანოვერი. 13 თებერვ. **ბოხუმიდან იტყობინებიან, რომ კრუპპის ქარხნების მოხამსახურეებმა და მუშებმა დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა 2 დირექტორის დაპატიმრების გამო.**

საალყო წესები.

ჰანოვერი. 13 თებერვ. (რადიო). **გერნეში, სადაც ჩინოვნიკების და საფრანგეთის პოლიციის წევრების უხეში საქციელის გამო მეფობს საყოველთაო აღშფოთება, გამოცხადებულია საალყო წესები.**

ბლოკადის გაძლიერება.

პარიზი. 13 თებერვ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ ბელგიელები დილით დაიკავებენ ვესელს და ემერიკს, საბაჟო კონტროლის ადგილებს იმ საქონლისათვის, რომელიც იგზავნება პროვინციიდან ჰოლანდიის მიმართულებით.

რურში შესვლის აკრძალვა.

ჰანოვერი. 13 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა დაატუსაღოს რურში ნებადაურთველათ ჩამოსული მინისტრი, უკეთუ მას იცნობენ.

მდგომარეობის გამწვავება.

ჰანოვერი. 13 თებერვალი. საფრანგეთის მიერ მიღებული აკრძალვითი ზომები, გერმანულ პრესას ბრძოლის უდიდეს გამწვავების ფაზათ მიაჩნია. გაზეთი აღნიშნავს, რომ თვით ოკუპაცია განსაკუთრებული დარღვევაა საერთაშორისო სამართლისა და ოკუპაციის დასაბუთებაა—მკაცრი, დაუფარავი ცინიზმი.

ფრანგებთან ერთი გზით.

ჰანოვერი. 13 თებერვ. პარიზის პრესა არწმუნებს, რომ ბელგიის მთავრობა მოითხოვდა სასტიკ საოკუპაციო რეჟიმის შემოღებას.

ფრანგთა დებოშები.

ჰანოვერი. 13 თებერვ. (რადიო). გელზენკირხენში გერმანელი პოლიციელი, რომელმაც თანახმად განკარგულებისა დაიკავა ავტომობილი, იქმნა მძიმედ დაჭრილი ავტომობილში მჯდარი ფრანგ ოფიცრის მიერ რევოლვერიდან.

განწყობილება მწვავდება.

ჰანოვერი. 13 თებერვ. (რადიო). განწყობილება რურში, თანახმათ „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტის ცნობისა, უფრო და უფრო მწვავდება, განსაკუთრებით ესენში, სადაც 12 თებერვალი გამოცხადებულია ფრანგ და ბელგიელ მყიდველების ბოიკოტის პირველ დღეთ.

აკრძალვას ყურადღებას არ მიაქცევენ.

ჰანოვერი. 13 თებერვალი. ოფიციალურ წყაროებიდან ბერლინში აცხადებენ, რომ რურის ოლქში გერმანელ მინისტრებისათვის შესვლის აკრძალვას მნიშვნელობას არ აძლევენ გერმანიის მმართველ წრეებში იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია აუკრძალოს გერმანიის მინისტრებს გაავრცელონ თავიანთი ხელისუფლება გერმანიის ტერიტორიაზედ. ამგვარ განკარგულებებს საერთოდ ყურადღებას არ მიაქცევენ და ყოველი მინისტრის ვალია, მიუხედავად მრავალგვარ ხიფათისა და უსიამოვნებისა—იმოგზაურონ რურის ოლქში, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს.

ბლოკადა არ უშველის.

ჰანოვერი. 13 თებერვალი. კომპეტენტურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ ლითონის და სხვა ფაბრიკატების გატანის აკრძალვა უშედეგოდ დარჩა ისე, როგორც ნახშირის გატანაც. რურის მრეწველობა უმთავრესად იკმაყოფილებს თავის თავს და გერმანიის მრეწველობას, რომელიც უკვე მოელოდა ამ აკრძალვას, ჰქონდა საშუალება მომზადებულიყო ამ შემთხვევისთვის. გერმანიის წარმოების ნაყოფიერებას ხელს შეუწყობს საზღვარ გარეთის ნახშირის და მადანის შემოტანა, რის გამო გერმანიის მრეწველობა არ დაზიანდება და მისი ნაყოფიერება არ დაიწევს.

რეპრესიების პოლიტიკა.

ბორდო. 13 თებერვ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან: ფრანგები დარწმუნდენ, რომ კუნოს კაბინეტის პოლიტიკის და გერმანიის მთავრობის მოქმედების გამო—ერთად ერთი შესაძლო პოლიტიკა არის რეპრესიების პოლიტიკა სანამ საფრანგეთი არ აღადგენს განადგურებულ ოლქებს და ინგლისი არ გადაიხდის თავის სამხედრო ვალებს კონტრიბუციის ხარჯზე. საფრანგეთის წრეების აზრით მარკის დაცემა არ არის კონტრიბუციის შედეგი, არამედ გამოწვეულია გერმანელი მრეწველების მიერ, რომელნიც პასუხისმგებელი არიან გერმანიაში არსებულ მდგომარეობისა და გერმანელ მუშების გაჭირვებისათვის.

დეგუტის განცხადება.

ჰანოვერი. 13 თებერვალი. (რადიო) დეგუტმა განუცხადა პუანკარეს, რომ რურის ოკუპაციის დამთავრება, რომელიც დაკავშირებულია დიდ დაბრკოლებებთან, მოხდება დაგვიანებით.

გატანის აკრძალვა.

ჰანოვერი. 13 თებერვ. (რადიო). ჰავასის სააგენტო იტყობინება პარიზში და ბრიუსელში საფრანგეთის ნოტის გადაცემის შესახებ. ნოტაში განმარტებულია საფრანგეთის მთავრობის დადგენილება 12 თებერვლის თარიღით, რომელიც ეხება დაკავებულ ოლქის მეტალურგიულ და სხვა წარმოების ფაბრიკატების დანარჩენ გერმანიაში გატანის სრულ აკრძალვას. ბრიუსელის კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ეს ზომები შედიოდენ სანქციების პროგრამაში, რომელნიც თანდათანობით უნდა გატარდეს დაკავებულ ოლქებში.

ოკუპაციის მწარმოებელი სახელმწიფონი ასაბუთებენ ნოტაში რურის მრეწველობის სრულ ბლოკადას მით, რომ გერმანიის მიერ დაყენებული სახელმწიფო ჩინოვნიკები იძლევიან ბრძანებებს, რომლებსაც შეაქვს მხარეში მღელვარება.

ამ ნოტაშივე გამოცხადებულია საფრანგეთის მთავრობის დადგენილება, რომლის ძალით გერმანიის მინისტრებს ეკრძალებათ რურის ოლქში შესვლა. ამდაგვარი ნოტა გადაეცა გერმანიის მთავრობას პარიზში.

გერმანიის ამბები

უცხოელების ინსტრუქციების მიღებაზე უარის თქმა.

პარიზი. 13 თებ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიამ გადასცა საფრანგეთს ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანიის საიმპერიო მთავრობა და გერმანიის სახელმწიფოთა მთავრობები უარს ამბობენ მიიღონ უცხოეთის მთავრობებისაგან რაიმე ინსტრუქციები გერმანიის მინისტრების მოქმედებისა და ყოფაქცევის შესახებ.

სალამი საბჭოთა რუსეთს.

მოსკოვი. 13 თებერ. გერმანიის კომპარტიის ყრილობა საბჭოთა რუსეთისადმი თავის მისალმებაში უღრმეს მადლობას უცხადებს საბჭოთა რუსეთს იმისთვის, რომ უდიდესი საფრთხის მომენტში საბჭოთა რუსეთი დადგა გერმანიის პროლეტარიატის მხარეზე და აღნიშნავს, რომ ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას. თავის ვალათ სთვლის მიაქციოს გერმანიის პროლეტარიატის აზრი და ყურადღება საბჭოთა რუსეთის დიდ მაგალითისაკენ, გამოსთქვამს რწმენას, რომ კავშირი საბჭოთა რუსეთისა და მუშურ გერმანიას შორის იქნება თავდები მთელი ევროპის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა.

ა. წ. 18 მარტს თბილისში მოწვეული იქნება კომუნისტური ორგანიზაციების

ამიერ-კავკასიის მე-2-ე ყრილობა

პარტიულ ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის (პოლიტიკური და საორგანიზაციო) ანგარიში.
2. საკონტროლო კომისიის ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება.
5. ფინანსიურ რეფორმის შედეგები და საგადასახადო პოლიტიკა.
6. ეროვნული მომენტი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა—პარტიის ყოველ 100 წევრზე 1 დელეგატი.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო
კომიტეტის მდივანი—**ა. მიასნიკოვი.**

მემელის საკითხი

ახალი დირექტორია.

ჰანოვერი. 13 თებ. სიმონაიტის მთავრობა გადადგა და მისი ადგილი დაიკავა ახლათ შემდგარმა დირექტორიამ.

უკანასკნელში შედიან 3 ლიტველი და 2 ნემეცი, თავმჯდომარეობს ბერლინში ყოფილი ლიტვის წარმომადგენელი ჰაილუსი. მოკავშირეთაშორისო მემელის საკითხის მომგვარებელი კომისია მემელიდან გაემგზავრა.

ახლო აღმოსავლეთში

სმირნა.

თავის თავს ამშვიდებენ.

ბორდო. 13 თებერვ. მოლაპარაკებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სმირნაში ერთი მხრივ მოკავშირეების და მეორე მხრივ ოსმალეთის სამხედრო, საზღვაო ხელისუფლებათა შორის, რეიდზე მოკავშირეების გემების დატოვების შესახებ, სთვლიან ატმოსფერის შემსუბუქებად.

ოსმალეთის პრესის აზრი

ანგორა. 9 თებერვ. გაზეთი „ენიგ ადანა" უკათებს რა ჯამს ლოზანას კონფერენციას აღნიშნავს, რომ კონფერენციამ სარგებლობა მისცა მხოლოდ ლოზანას ტელეგრაფისტებს და ხელის მომწერლებს. მთელი კონფერენციის განმავლობაში მოსჩანდა ფრანგების და ინგლისელების სრული ერთსულოვნება. უნდობლობა საფრანგეთის პოლიტიკისადმი სავსებით დამტკიცდა.

ანგორის სალახეიდის ზომიერ ჯგუფის ორგანო „ტან"-ი მოწინავეში სწერს: „ჩვენ გამოვსთქვამთ იმედს, რომ მოკავშირეები გაითვალისწინებენ მსოფლიოს დაუმკვიდრებელ მდგომარეობას და დაადგებიან ჭეშმარიტ გზას. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეუძლებელი იქნება სამშვიდობო კონფერენციის სრული ჩაშლა. იგივე გაზეთი სწერს: ვერც ომმა, ვერც რევოლიუციამ ვერ იქონია გავლენა დასავლეთის პოლიტიკაზე აღმოსავლეთის საკითხში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოკავშირეები იგრძნობენ აუცილებლობას ჩვენთან მოლაპარაკებისა ურთიერთ-თანასწორობის საფუძველზე. გაზეთი „ხაკიმიეთ-მილიე", აღნიშნავს, რომ მრავალრიცხვოვან დათმობებს ოსმალეთის მხრივ, სასტიკად ჰკიცხავს საფრანგეთის პოლიტიკას. გაზეთი სწერს: ბოლოს, მოკავშირეებმა ჩამოიხსნეს ნიღაბი და საფრანგეთმა გამოაშკარავა, რომ ის არის ყველა იმ კატასტროფების გამომწვევი, რომელიც საფრთხეს უმზადებს მთელს მსოფლიოს. მოკავშირეებს სურთ კიდევ უფრო დასწვან აღმოსავლეთი, მაგრამ ოსმალოები შეინარჩუნებენ თავიანთ სახეს ამ ცეცხლში.

პასუხის-მგებლობა შედეგებისათვის ეკისრება მათ, რომლებიც ატარებდენ და შემდეგ მოიხსნეს ნიღაბი.

გაზეთი „ენი გიუნი" სასტიკად ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ. ის აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პოზიციამ ლოზანაში გამოაშკარავა ანგორის შეთანხმების უდღეურობა. მტკაცდება, რომ დიდმა სახელმწიფოებმა წააქეზეს საბერძნეთი, რათა დაეწყო მას ომი ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ კონფერენციის ჩაშლისათვის პასუხისმგებლობად ვსთვლით ფრანგებს. პუანკარემ მიმართა ისმეტ-ფაშას, არწმუნებს არა უკანასკნელ შეთანხმების შესაძლებლობაში.

ჩვენ არ ვიცით, თუ რას უპასუხებს ისმეტ-ფაშა, ჩვენ მის ადგილზე უპასუხებდით: „უკვე გვიანია".

ოსმალოების ულტიმატუმის გამო

ანგორა. 9 თებერ. 8 თებერვას მოკავშირეთა კომისრებმა სტამბოლში გადასცეს ოსმალოებს ნოტა განცხადებით, რომ მუდანიის კონფერენცია ძალაში რჩება და ოსმალოების წინადადება, იზმიდის და სმირნის ნავთსადგურების მოკავშირეების გემებისაგან განთავისუფლების შესახებ, მიუღებელია მოკავშირეებისათვის.

საფრანგეთის გენერალის გაკვირვება

ანგორა. 9 თებერვ. გენერალმა პელემ გაზეთ „აკშამ"-ის თანამშრომლებთან გამოსთქვა გაკვირვება იმის გამო, რომ ოსმალეთის პრესა მტრულად არის განწყობილი საფრანგეთის მიმართ.

ის აღნიშნავს, რომ ოსმალეთის პრესის გალაშქრება საფრანგეთის წინააღმდეგ აგებულია ყალბ ინფორმაციაზე და იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება ზავის მიღწევა.

ალექსანდრეტის და ანტაკიის მოსახლეობა გმინავს ფრანგების რეპრესიების გამო

ანგორა. 9 თებერვ. გაზეთი „ენი ადანა" უარყოფს რა ერთ-ერთ ბეირუთის გაზეთის განცხადებას, ამტკიცებს, რომ ანტაკიის და ალექსანდრეტის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ოსმალოები.

ეს ოლქები უნდა ეკუთვნოდეს ოსმალეთს. გაზეთი „ხიად"-ი სწერს: ოსმალეთი არავის არ დაუთმობს არც ალექსანდრეტის, არც ანტაკიას, რომლებიც გმინავენ საფრანგეთის რეპრესიების და სიმხეცის გამო.

მდგომარეობა იტალიაში

ფაშისტების ყრილობა.

რომი. 13 თებერვ. ნეაპოლში შესდგა ადგილობრივ ფაშისტების მე-2 ყრილობა, რომელსაც დაესწრენ სამხედრო დამსახურებისათვის ოქროს მედალით დაჯილდოებული ფაშისტები.

მუსოლინის მგზავრობა.

რომი. 13 თებერვალი. მუსოლინის მგზავრობა სამხრეთ იტალიის ოლქებში მათი მდგომარეობის გაცნობის მიზნით გადადებულია მომავლისათვის საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო, რაც მოითხოვს პრემიერ-მინისტრის რომში ყოფნას.

ფაშისტებს უთანაგრძნობენ.

რომი, 13 თებ. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი მით უფრო თანაგრძნობათ იმსჭვალება ფაშისტებ სადმი, რამდენ თაც ფაშისტურ მთავრობის „ფიზიონომია" თანდათან უფრო ირკვევა.

მუსოლინი თავის თავზე ღებულობს პასუხისმგებლობას.

რომი, 12 თებ. მუსოლინიმა, შეეხო რა შინაურ პოლიტიკას, განაცხადა პარლამენტში, რომ ის თავის თავზე ღებულობს სრულ პასუხისმგებლობას იმ რეპრესიებისათვის, რომელიც მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ. ის აცხადებს, რომ ფაშისტური ხელისუფლება იმდენად სუსტი არ არის რომ ვერ შესძლოს თავდაცვა შინაურ და გარეშე მტრების შემოტევის შემთხვევაში.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, მუსოლინმა განაცხადა, რომ ის პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდენ იტალიის დიპლომატები ლონდონში და ლოზანაში, თავიდან აცილებს იტალიას პასუხისმგებლობას იმაზე, რომ მსოფლიო კიდევ ვერ ეღირსა ზავის ჩამოგდებას.

იაპონიაში

რუსეთთან დაახლოვების გამო.

მოსკოვი. 13 თებ. ტოკიოში პოლიციამ აკრძალა ყველაზე უფრო ძლიერი ანტი-ბოლშევიკური ორგანიზაციის მიტინგი.

პარლამენტში რუსეთთან დაახლოების შესახებ საწინააღმდეგო არაფერი თქმულა.

ერთ რეაქციონერის შეკითხვაზე: „მიღებულია თუ არა შესაფერი ზომები კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ იოფეს მოსვლის გამო და თუ ფიქრობს მთავრობა შეიტანოს პარლამენტში ანტი-ბოლშევიკური კანონ-პროექტი", გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობა არ ფიქრობს შეზღუდოს სიტყვის თავისუფლება და აგრეთვე არ ფიქრობს შეიტანოს პარლამენტში ხსენებული კანონ-პროექტი.

პოლონეთში

რუსეთის მიტროპოლიტის მოკვლა.

მოსკოვი. 13 თებერვალი. 8 თებერვალს ხოლმის არხიმანდრიტმა ფატიჩენკომ რევოლვერით მოჰკლა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური პოლონეთში მიტროპოლიტი გიორგი. მიზეზათ მკვლელი ასახელებს იმ გარემოებას, რომ მიტროპოლიტმა პოლონეთში გამოაცხადა მთავრობის მართლმადიდებელი ეკლესია.

პოლონეთში უკრაინელ ახლათ გაწვეულთა შორის.

მოსკოვი. 13 თებერვალი. ლვოვიდან მოსულ ცნობების თანახმათ ტარნოპოლის რაიონში უკრაინელ ახალ გაწვეულთა შორის მოხდა მღელვარება. მოკლულია რამოდენიმე კაცი.

სხვადასხვა ამბები

ამერიკა და ინგლისი.

ჰანოვერი. 12 თებერვ. ვაშინგტონიდან რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ წარმომადგენელთა პალატამ რატიფიკაცია უყო 292 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 44 ხმისა ინგლისთან შეთანხმებას ვალების შესახებ. პროექტი წარედგინა განსახილველათ სენატს.

დიდი ბრიტანეთი და გეჯასის სამთავრო.

პარიზი. 12 თებერვ. ლონდონში გეჯასის მეფის წარმომადგენელმა ნაზიმ დაიწყო მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის და გეჯასის სამთავროს შორის ხელშეკრულების განახლების შესახებ.

დუნაის გადიდება.

პარიზი. 12 თებერვ. ბუდაპეშტის მიდამოებში მდინარე დუნაის გადიდებამ დაანგრია სანაპირო სიმაგრეები და წაიღო მრავალი სოფელი. წყალით არის დაფარული 200 სახლი 8000 კაცი უსახლკაროთ ცის ქვეშ იმყოფება. მოსავალი დაიღუპა. ზარალი უდრის მრავალ მილიონ კრონს.

ლიონის ბაზრობა.

ბორდო. 12 თებერვ. ლიონის ბაზრობა გაიხსნება 5 მარტს და გაგრძელდება 17 მარტამდე. ექსპონატების უმრავლესობა დიდი სავაჭრო სახლებია, რომლებიც ამზადებენ სასოფლო სამეურნეო იარაღებს.

კოლაროვი და კაშენი

მოსკოვი. 13 თებერ კომინტერნის მდივანმა კოლაროვმა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე, პარიზიდან გამომგზავრების წინ მიმართა ციხეში მყოფ კაშენს წერილით, რომელშიაც აღნიშნავს ფრანგ ამხანაგების ერთგულებას კომუნიზმისა და კომინტერნისადმი. შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ კლასთა ბრძოლის გამწვავება საფრანგეთში დამთავრდება რეპრესიებით და გამოიწვევს უფრო ზომიერ წრეების აღშფოთებას და აგრეთვე საფრანგეთის კომპარტიის საწინააღმდეგო ძალების გაძლიერებას.

წითელ ნაწილებში

რუსეთი

წითელი არმიის 5 წლის თავისთვის.

სიმფეროპოლი. 13 თებ. ყირიმის წითელ არმიელ ნაწილებს შორის სწარმოებს დიდი მზადება წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაულისათვის. ძირითად ამოცანად აღიარებულია მჭიდრო ურთიერთობის დამყარება მუშურ-გლეხურ მასებსა და წითელ არმიელთა შორის მშრომელი მასსებს მიიწვევენ ყაზარმებში, სადაც მათ აჩვენებენ წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ყველა პროფესიონალურ საბჭოთა და პარტიულ ძალების ჩათრევას წითელი არმიის მატერიალურ მდგომარეოაის საქმეში და აგრეთვე წითელი არმიის ნაწილების პარტ-ორგანიზაციასთან დაახლოვებას, 15 თებერვლიდან 33-მდე მთელ ყირიმში მოეწყობა მთელი რიგი კონფერენციებისა და კრებებისა. უკანასკნელნი დამთავრდებიან სრულიად ყირიმის წითელ არმიელთა უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენციასთან ერთად, მოეწყობა აგრეთვე საგარნიზონო-სადივიზიო პარტიული კონფერენციები. განზრახულია წითელი არმიის სადივიზიო მუზეუმის გახსნა და საზეიმო დღესასწაული გმირ წითელ არმიელთა პატივსაცემად. კომიაჩეიკის ყველა სხდომებზე წამოყენებულია საკითხი: „პარტიის როლი არმიაში".

მოსკოვში შვეციის დელეგაციის ჩამოსვლის გამო.

მოსკოვი. 10 თებერვ. შვეციის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ჩამოვიდა მოსკოვში რუსეთ შვეციის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად, შედის ლევგრენი და საკსი. დელეგაციას ნიკოლაევის სადგურზე მიეგება საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის სკანდინავიის ქვეგანყოფილების გამგე ამხ. ხლამინსკი.

მოსკოვში მიმავალმა ლევგრენმა და საქსმა გელსინგფორსის გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში განაცხადეს, რომ მათი რუსეთში გამგზავრების მიზანია რუსეთ-შვეციის ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგება. ლევგრენი ფიქრობს, რომ ეს მგზავრობა ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს დაახლოებას და რუსეთის დაკავშირებას ევროპის ბაზართან.

ტრანსპოდტის ძირითადი ამოცანები.

მოსკოვი. 10 თებერვ. დზერჟინსკიმ, რომელიც გამოვიდა რკინისგზელთა ცეკას პლენუმზე, განაცხადა, რომ ტრანსპორტის ძირითად მიზანს შეადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება და სერიოზული ბრძოლა სათბობის უთავბოლოდ ხარჯვის წინააღმდეგ. პირველის მიხწევა შეიძლება შტატების შემდეგი შემცირებით და იმ პირთა დათხოვნით, რომელნიც შემოიპარენ რკინის გზაში რკინისგზელების სამუშაო ხელფასის გადიდების შე დეგ. მეორეს მიხწევა კი—რკინის-გზელთა და მათი ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის საშუალებით, თუნდაც მინიმალური მოთხოვნილების ფარგლებში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანას ჩვენ ახლო მომავალში შევასრულებთ.

სათესი მარცვალი.

ტაშკენტი. 9 თებერვ. უკრაინის გლეხები დიდ ინიციატივას იჩენენ სათესლე მარცვლის დამზადების საქმეში.

პროტესტები ოკუპაციის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 12 თებერვ. უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში გრძელდება საპროტესტო დემონსტრაციები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

დონის ოლქის პროფ-კავშირთა საბჭომ რურის მუშების საგაფიცვო ფონდისათვის გადასდო 1000 მან. ოქროთ.

ხარკოვის მთავარი დეპოს მუშებმა რურის მუშების სასარგებლოდ გადასდეს თვიური ჯამაგირის 1 პროც.

ბანდიტიზმთან ბრძოლა.

მოსკოვი. 10 თებერვ. კრემენჩუგის სახელმწ. პოლიტიკურმა სამმართველომ ჩიგირლინისა და ჩერკასის მაზრებში მოთარეშე პრიმაკისა და ზაგორნის ბანდები ალმოფხვრა. ზაგორნი და პრიმაკი დატუსაღებული არიან სასტიკი ბრძოლის შემდეგ. ბანდებს ჩამოერთვა ვინტოვკა-პულემიოტები და დიდძალი ბომბა. დაკითხვის დროს პრიმაკმა განაცხადა, რომ მან 4 თვის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების 132 წარმომადგენელი მოჰკლა.

პრიმაკისა და ზაგორნის ბანდების მოსპობის შემდეგ პეტლიურის ბანდიტიზმი შეიძლება სრულიათ აღმოფხვრილათ ჩაითვალოს.

გლეხის სახლი

მოსკოვი. 10 თებერვ. გლეხთა და მუშებ-შორის კავშირის დასამკვიდრებლად მოსკოვში მოწყობილ გლეხის ცენტრალურ სახლში 1,340 გლეხმა განვლო. გლეხების უმეტესმა ნაწილმა მიიღო იურიდიული დახმარება მიწის სასამართლოს საკითხის გარშემო, საერთო საცხოვრებლით სარგებლობდენ, რომელშიაც არის სასადილო, აბანო, ამბულატორია, ბიბლიოთეკა და სამკითხველო.

ლიონის ბაზრობისათვის.

მოსკოვი. 13 თებერვალი. ლიონის ბაზრობა 5 მარტს იწყება.

სესხზე ხელის მოწერა.

სიმფეროპოლი. 13 თებერვალი. სახელმწიფოს ოქროს სესხზე ხელის მოწერის დაწყების დღიდან თებერვლის პირველ რიცხვამდე ყირიმში ფინანსთა სახ. კომისარიატის და მისი კონტრაგენტების მიერ გაყიდულია მომგებიანი სესხის ობლიგაციები სულ 6.395 მანეთის ოქროთი.

კურსანტთა შემადგენლობა

მოსკოვი. 13 თებერვალი. გუბერნიის სამხედრო სასწავლებელთა უფროსმა პეტროვსკიმ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა რომ სამხედრო სასწავლებლების კურსანტთა 30 პროც. მუშებია, 60 პროც. გლეხები, დანარჩენები—სხვა წრეებიდან.

მიწათ მომწყობი თათბირი

მოსკოვი. 13 თებერვალი. სრულიად რუსეთის მიწათ მოწყობის თათბირზე ანდრეევმა თავის მოხსენებაში კოლონიზაციის და გადასახლების შესახებ ხაზი გაუსვა თანამედროვე კოლონიზაციის და გადასახლების საკითხის განსაკუთრებულ სამეურნეო მნიშვნელობას იმ პოლიტიკურ მიზანთა დაპირისპირებით, რომელსაც ისახავდენ რევოლიუციის წინა ხანებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საუკეთესო საკოლონიზაციო რაიონებათ ბუნებრივი და ეკონომიური სიმდიდრით—ითვლებიან ჩრდილოეთის და სამხრეთ აღმოსავლეთის რაიონები თურქესტანისა მურმანი, ციმბირი და ყირგიზეთის რესპუბლიკა.

მესაქონლეობის აღდგენა

მოსკოვი. 13 თებერვალი. მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატმა გასცა დამშეულ გუბერნიებში მესაქონლეობის აღსადგენათ ორი მილიონი მანეთი.

სასოფლო მეურნეობის დახმარების კომიტეტში.

მოსკოვი. 13 თებერვალი. კალინინის თავმჯდომარეობით მოეწყო სასოფლო მეურნეობის დამხმარე კომიტეტის სხდომა სრულიად რუსეთის ცეკასთან. დადგენილია დაარსონ 22 საოლქო რაიონი, რომელთა შორის განაწილდება სასოფლო-სამეურნეო დახმარების კრედიტი. დაადგინეს მიანდონ სახელმწიფო გეგმის კომიტეტს სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად ერთი კვირის ვადაში შეიმუშაონ ამ საშუალებათა განაწილების გეგმა.

ოქროს მრეწველობა

მოსკოვი. 13 თებერვალი. სახელმწიფო მომარაგების გეგმის თანახმად დამტკიცებულია რუსეთში ოქროს მრეწველობის განვითარების პროექტი. თავის განკარგულებაში ს ხელმწიფო სტოვებს მსხვილ წარმატებათ, ხოლო უფრო წვრილათ საიჯაროთ აძლევს კერძო პირებს, პროექტის მიხედვით ძვირფას ლითონების შესყიდვა ევალება ფინანსთა სახ. კომისარიატს.

რკინის გზელთა კავშირის ხუთი წლისთავის

მოსკოვი. 13 თებერვალი. 10 თებერვალს სასაზამთრო თეატრში გაიმართა დღესასწაული რკინისგზელთა კავშირის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად. კავშირის თავმჯდომარე ანდრეევმა მიუთითა, რომ რკინის გზის წინანდელი დაშლილობის და ნგრევის კვალიც კი აღარ არის დღეს, ამაშია კავშირის დიდი დამსახურება მისი მეცადინეობით მოხერხდა გზების სა[illegible]ბობთ მასალის კრიზისის გადატანა. მისივე მუშაობით რკინის გზა უზრუნველყოფილია ახალი მოსავლის პე[illegible]რით იწყება რკინისგზის ქსელის გაფართოება. სრულიად რუსეთის აღმასკომის თავმჯდომარემ კალინინმა აღნიშნა რკინისგზის პროლეტარიატის მონაწილეობა სამოქალაქო ომში და შიმშილთან ბრძოლაში, რისთვისაც შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე კავშირის მადლობა გამოუცხადა.

სამოქალაქო პანაშვიდი

10 თებერვალს ღამით ქართულ დივიზიის პოლიტიკურმა განყოფილებამ მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყება სამოსწავლო ათასეულის სამხედრო კომისრის ამხ. ალექსანდრე (საშა) ობოლაძის, ამავე ათასეულის უფროსის ამხ. სანიკიძის და გუნდის უფროსის თანაშემწის ამხ. დათიკო ჩუბინიძის ტრაგიკულ გარდაცვალებას.

ოზურგეთის და ლიხაურის შუა მენშევიკურმა ბანდიტებმა ხელით სასროლი ყუმბარა ესროლეს იმ ეტლს, რომელშიაც ისხდენ ამხ. ობოლაძე და ორი მისი თანამგზავრი. სამწუხარო ცნობების მიღებისას ქართული დივიზიის პოლიტიკურმა განყოფილებამ სასწრაფო წესით მოაწყო სამოქალაქო პანაშვიდის სამგლოვიარო საღამო წითელ არმიელთა კლუბში. მოგროვილ აუარებელ ხალხის, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლების და წითელ არმიელთა თანადასწრებით, სამგლოვიარო საღამოს 8 ნახ. საათზე ხსნის დივიზიის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების უფროსი ამხ. ეგიკოვი, რომელიც აცნობებს სამგლოვიარო კრებას მომხდარ ამბავს და სთხოვს ფეხზე ადგომით პატივი სცენ დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას.

ორკესტრი ასრულებს: „თქვენ მსხვერპლი გახდით",

სიტყვას ამბობს დივიზიის უფროსის თანაშემწე ამხ. მარკაროვი, რომელიც ქართულ ენაზე ახასიათებს ობოლაძის პიროვნებას როგორც რევოლიუციონერის და შეუპოვარი მებრძოლის არა ლეგალურ და დაუღალავი მუშაკის საბჭოთა ხელისუფლების ლეგალურ პირობებში.

ქართული დივიზიის საკომანდო შემადგენლობის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ლეჟავა, რომელიც ხაზს უსვამს იმ თავდადებას, რომელიც გამოიჩინეს ამხ. ობოლაძემ, სანიკიძემ და ჩუბინიძემ. „მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი ტრაგიკული სიკვდილით, ამბობს ორატორი, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ინტერესები უფრო ძვირფასია საკუთარ სიცოცხლეზე, ისინი დაიღუპნენ ბრძოლის სადარაჯოზე როგორც საუკეთესო დამცველები საბჭოთა ხელისუფლებისა. დიდება და პატივი მათ, საუკეთესო და სამაგალითო ამხანაგებს.

მან აქაც გამოიჩინა ენერგიის მაქსიმუმი და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება. ქართული დივიზიის შტაბის სამხედრო კომისარი ამხ. სიჭინავა, განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი მამულაიშვილი და ცენტრ. კლუბის წარმომადგენელი ამხ. ვიშემირსკი ახასიათებდენ, განსაკუთრებით, იქვე დაღუპულ ამხანაგების—[illegible] და ჩუბინიძის პიროვნებას. ეს ორი ამხანაგი [illegible] კომუნისტურ პარტიას, მაგრამ ისინი წევრები იყვენ ქართველ ინტელიგენციის იმ საუკეთესო ნაწილისა, რომელმაც შეიგნო რევოლიუციის მიზნები და მნიშვნელობა. ისინი იცავდენ რევოლიუციას მედგრათ და გმირულად დაიღუპნენ სადარაჯოზე ამ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის. ამხ. სიჭინავამ აღნიშნა, რომ კომუნისტ ობოლაძესთან ერთათ საბჭოთა ხელისუფლებამ და წითელმა არმიამ სანიკიძისა და ჩუბინიძის სახით თავის მკვიდრი შვილები და რევოლიუციისათვის მებრძოლ მოწინავე რაზმის საუკეთესო მებრძოლნი დაკარგა.

ორატორების სიტყვებმა აუდიტორიაზე მძიმე და წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. პარტიის პირველი სარაიონო კომიტეტისაგან გამოდის ამავე სარაიკომის მდივანი ამხ. გოლდბაუმი, რომელიც აღნიშნავს ამხ. ობოლაძის მოღვაწეობას 1 სარაიონო კომიტეტში მდივნობის დროს. ამხ. მოიპოვა რკინის გზის მუშათა ფართე მასსის სიმპატია, იგი უყვარდათ ეხლაც და შემდეგშიაც დააფასებენ იმიტომ, რომ ამხ. ობოლაძე ყველაზე უფრო მისწვდა მათ, გაიგო მათი პსიხოლოგია.

შემდეგ გამოდის რკინის გზის მუშა აზუმელაშვილი. გულის სიღრმემდე აღშფოთებული ის წყევლა-კრულვას უგზავნის მკვლელებს, რომლებმაც გამოსტაცეს მათ რიგებს კეთილი ამხანაგი და მასწავლებელი—საშა.

ამხ. ობოლაძის პორტრეტის წინ ის ფიცსა სდებს, რომ რკინის გზელ მუშები არ დაივიწყებენ არასდროს იმ ნათელს წუთებს, როდესაც ამხ. საშა ასწავლიდა მათ თვითმოქმედებასა და კომუნისტურ პრინციპებს. რკინის გზის პროფკავშირის წარმომადგენელი ამხ. შენგელიამ, ობოლაძის დახასიათების დროს, აღნიშნა საშას გმირობა მენშევიკების გაქცევის დროს. გააფთრებულ მენშევიკებმა გაქცევის წინ დაიწყეს სახალხო სიმდიდრის ძარცვა-გლეჯა. ამხ. ობოლაძის წინააღმდეგობამ რკინის გზის ქონების გაძარცვას გადაარჩინა.

შემდეგ ამისა, სამოქალაქო პანაშვიდის ხელმძღვანელი ამხ. ეგიკოვი მოუწოდებს საზოგადოებას არ დაეცეს სულით, რადგან რევოლიუციონერები დაჩვეულნი არიან ბრძოლის დროს მძიმე მსხვერპლის მოტანას. წინადადებას აძლევს ხოროსა და ორკესტრს შეასრულონ ინტერნაციონალი და სამგლოვიარო, საღამოს დახურულად აცხადებს.

მოკლულ ამხანაგების ცხედრები ჩამოსვენებული იქნება ტფილისში.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

უპარტიო [illegible] კონფერენცია.

სოფ. მეჯვრისხევში ამ დღეებში შესდგა თემის უპარტიო გლეხების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 60 დელეგატი და ამას გარდა 20[illegible] მეტი უპარტიო გლეხები. დღის წე[illegible]რიგში იყო შემდეგი საკითხები: საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობ[illegible]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი წლისთავი

(თეზისები)

1. 1921 წ. 25 თებერვალს საქართველოში დაემხო მენშევიკების ძალა-უფლება, და მშრომელმა მასებმა—პროლეტარიატმა და გლეხობამ, სახელოვან წითელი არმიის დახმარებით, დაამყარეს თავისი, საბჭოთა ხელისუფლება: ამით დასრულდა ერთი სამარცხვინო მომენტთაგანი საქართველოს ისტორიაში, როდესაც, სოციალიზმის და ხალხთა ინტერესებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ სახელმწიფოს სათავეში მდგომი მენშევიკების პარტია აწარმოებდა გამცემლურ ბრძოლას თავის კლასიურ განთავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატის წინააღმდეგ.

2. კაპიტალის და შრომის შორის დიად ბრძოლაში, რომელმაც 1917 წ. ოქტომბრის შემდეგ არა ჩვეულებრივ სიმძაფრეს მიაღწია. იმ ბრძოლის დროს, რომელშიაც ჩაბმული იყო მთელი მსოფლიო.

მენშევიკები იმ თავითვე შეგნებულად მოექცენ ბარიკადების მეორე მხარეზე, დასავლეთის იმპერიალისტებთან და რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად, რომელნიც სცდილობდენ საერთაშორისო კაპიტალის დახმარებით ჩაექროთ პროლეტარული რევოლიუცია. თავისი ბატონობის 2 წლის განმავლობაში მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდენ, არავითარ რესპრესიებს არ ერიდებოდენ ქვეყნის შიგნივ, არავითარ დათმობას არ ერიდებოდენ უცხოეთის კაპიტალის წინაშე, არ ერიდებოდენ არავითარ დახმარებას საქართველოს მეზობელ ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ მეამბოხურ მოძრაობის მხრივ, ოღონდ ხელი შეეშალათ ბოლშევიზმის გავრცელებისათვის კავკასიის ქედს აქეთ.

3. ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ რომლისაკენაც, როგორც ნამდვილი კლასიურ ინტერესების გამომხატველისკენ, ილტვოდენ მშრომელთა ფართო მასები, შეიძლებოდა მხოლოდ კლასიურ სოლიდარობისათვის მთელი საქართველოს ხალხის ნაციონალურ გაერთიანების იდეის დაპირდაპირებით, იმ გაერთიანების, რომელიც ფარავდა სოციალურ წინააღმდეგობას ერის შიგნივ. ომის დაწყებისთანავე მე-2-რე ინტერნაციონალის გაკოტრების შემდეგ მენშევიკებმა უმთავრეს მიზნად დაისახეს არა საერთაშორისო ბრძოლა მთელი პროლეტარიატისა, და კერძოთ საქართველოს პროლეტარიატისა სოციალიზმისათვის, არამედ თავისი ეროვნული სახელმწიფოს და თავისი კულტურის შექმნა და განმტკიცება.

4. მენშევიკები ფიქრობდენ, რომ ასეთ ეროვნული მათი პოლიტიკა იპოვიდა გამოხმაურებას გლეხობის შორის, რომელიც შეადგენს საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობას, განსაკუთრებით კი ამ გლეხობის ერთგულ, კულაკურ ელემენტებს და შედარებით მრავალრიცხოვან ინტელიგენციის შორის, რომელიც გაჟღენთილი იყო ნაციონალისტური ტენდენციებით. გლეხობა დაიქანცა იმპერიალისტური ომისაგან, ერთის შეხედვით „თითქოს ძალიან ხალისით უნდა შეეთვისებია ახალ სოციალურ ბრძოლაში არ ჩარევის ლოზუნგი თავის ფიზიკურ არსებობის დასაცავად, იმ ბრძოლაში, რომელიც პროლეტარულმა რუსეთმა დაიწყო, ინტელიგენციას კი თავისი ეროვნული სახელმწიფოს დაარსება მოუტანდა ყოველგვარ სარგებელს და უპირატესობას.

5. მაგრამ ძალიან ჩქარა, მშრომელი გლეხთა ფართო მასები დარწმუნდენ, რომ ის სარგებელი, რომელსაც მათ დაპირდენ „ნაციონალური" პოლიტიკის მიმდევარი მენშევიკები, მეტად ეფემერული აღმოჩნდა, ზიანი კი ფრიად თვალსაჩინო. ქმნიდენ რა „ნაციონალურ" სახელმწიფოს მენშევიკებს უნდა დაემყარებიათ იგი არა სხვა და სხვა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე, არამედ სამოქალაქო მშვიდობიანობაზე. ამიტომ გლეხებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, მიწის საკითხი მენშევიკების დროს გადაუწყვეტელი დარჩა, და ყოველგვარ ცდას ამ საკითხის ქვემოდან გადაწყვეტისათვის, თვით გლეხობის რევოლიუციონური ინიციატივის საშუალებით, სიმკაცრით აქრობდენ, როგორც „ანარქიის" გამოხატულებას. შემდეგ, პირველ რიგში ნაციონალური ელემენტის დაყენება, აუცილებლად იწვევდა ეროვნებათა შორის შუღლის გაძლიერებას სხვა და სხვა ეროვნებებით დასახლებულ ქვეყანაში, როგორიც არის არა მარტო ამიერ-კავკასია, არამედ თვით საქართველოც. ამიტომ მშვიდობიანი არსებობის ნაცვლად, საქართველოს მთელი ისტორია, მენშევიკების ბატონობის ხანა, სავსეა ეროვნებათა შორისო ბრძოლით, რომელსაც ქონდა მწვავე და სისხლის მღვრელი ხასიათი. არა მარტო მეზობელ ერებთან, არამედ თვით საქართველოს შიგნივაც, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებშია (აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, ბორჩალო და სხვა).

ბოლოს, მსოფლიო სახალხო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის დროს, როდესაც დიდი სახელმწიფოები, მთელი მსოფლიოს ურთიერთ შორის დაყოფვის შემდეგ, კაპიტალიზმის შინაგანი განვითარების ძალით, ილტვიან თავის სამეურნეო გავლენის გაფართოების მიზნით ახალ დაპყრობისაკენ, საქართველოს, რა თქმა უნდა არ შეეძლო დარჩენილიყო ფაქტიურად დამოუკიდებული. იგი გადაიქცა დიდი სახელმწიფოების კოლონიალურ დაპყრობის ასპარეზად, და შეგნებულად გაურბოდა რა ბოლშევიკებს, ასევე შეგნებულად ილტვოდა „კულტურულ" დასავლეთის ულისაკენ. ამ დამონებას აუცილებელ შედეგად მოჰყვებოდა მტაცებლური ექსპლოატაცია და ქვეყნის სამეურნეო აღდგენის შეუძლებლობა.

6. ყველა ამ მიზეზებმა ისტორიული პროცესის აუცილებლობის ძალით გამოიწვია საქართველოს შიგნივ სოციალური წინააღმდეგობანი, ეკონომიური კატასტროფა, ნაციონალურ შეხლა-შემოხლის გამწვავება და ჩვენი ბუნებრივად გამოსვლა, რომელიც 2 წლის წინად დამთავრდა მენშევიკების განდევნით და საქართველოში მუშათა და გლეხთა ძალა-უფლებაზე დამყარებულ საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრებით.

7. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ დარგში ეწინააღმდეგება მენშევიკების ნაციონალურ პოლიტიკას. იგი შენდება არა ქართველი ერის საერთო ინტერესებზე, არამედ მშრომელთა ინტერესების დაცვაზე; იგი არ უპირდაპირებს თავის ერს, როგორც უზენაესს და გაბატონებულს სხვა უფრო მცირე ერებს, რომელნიც იავე ქვეყანაში მოსახლეობენ, არამედ იგი აღიარებს ცხოვრების ყოველ დარგებში ყველა ერების სრულ თანასწორობას; იგი არ უკავშირებს თავის ბედს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოების შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე მეურნეობას, რომლის მოგვარება არ ხერხდება არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილების ჩარჩოებში, არამედ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილ პროლეტარულ სახელმწიფოებთან ერთად სცდილობს დაამყაროს ახალი წესწყობილება, რომლის დროსაც არ იქნება ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის და ერთი ხალხის მიერ მეორეს დაჩაგვრა.

8. საბჭოთა საქართველოს არსებობის ორმა წელმა უკვე მოგვცა შეურყეველი საბუთები 1921 წლის 25 თებერვლის გადატრიალების ნაყოფიერებისა.

მიწის საკითხი სულ ახლო მომავალში იქნება საბოლოვოდ და რადიკალურად გადაწყვეტილი. ა. წ. 15 მარტი, სრულიად საქართველოს ცაკის, ამ უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს დადგენილების თანახმად, არის ის უკანასკნელი ვადა, რომლისათვისაც მიწათმფლობელობის ურთიერთობის საკითხი მშრომელ გლეხობის ინტერესების მიხედვით საბოლოვოდ უნდა იქნას გადაწყვეტილი.

9. ეროვნული საკითხი, რომელიც ტიშავდა მენშევიკების ბატონობის დროს მთელ ქვეყანას, ამ ჟამად აღარ არსებობს. არასოდეს, მრავალ საუკუნოვან ისტორიის მანძილზე, ამიერ კავკასიას საერთოდ და საქართველოს კერძოთ არ ახსოვთ ყველა მათ ტერიტორიაზე მობინადრე ერების ისეთი შინაგანი მშვიდობიანობა და მეგობრული, შეთანხმებული ცხოვრება, როგორც ამ ჟამად.

მაგრამ ეს არ არის იმ ხალხის სიკვდილის მშვიდობიანობა, აპატია და გულგრილობა, რომელმაც დაჰკარგა უკეთესი მერმისის იმედი, ეს არ არის მონის პასიური მორჩილება, როგორც ამას სთვლიან საბჭოთა საქართველოს მტრები. ქვეყნის კულტურული ცხოვრება ვიითარდება, ცოდნის შეძენისაკენ ლტოლვა ფართოვდება, ყოველგვარი საგანმანათლებლო დაწესებულებანი ფარავენ ქვეყანას, ინტერესი მსოფლიო ამბებისადმი და იმ ბრძოლისადმი, რომელსაც აწარმოებს თავისი განთავისუფლებისათვის საერთაშორისო პროლეტარიატი, თან და თან ძლიერი ხდება, რის მაგალითათ შეიძლება ჩაითვალოს ის საპროტესტო დემონსტრაცია საფრანგეთის მიერ რურის ოკუპაციის წინააღმდეგ, რომელმაც 3 თებერვალს ძლიერ აღტყინებაში გააერთიანა ტფილისის ყველა მშრომელები.

10. პროლეტარიატმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იგრძნო თავისი თავი მდგომარეობის ბატონად, თავისი ბედის პასუხისმგებელ გამგებელათ. და გასული ორი წელი მაჩვენებელია მთელ რიგ გამარჯვებათა და მიღწევათა სამეურნეო ფრონტზე. ქვეყნის საერთო სიმდიდრეებს აღარ იტაცებენ ყოველი ჯურის მსოფლიო იმპერიალისტები, როგორც ამას ადგილი ქონდა მენშევიკების დროს, პირიქით საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ხმარობს ამ სიმდიდრეთა გეგმიანი მოხმარებისათვის. ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენება და მთელ რიგ სარწყავ არხების გაყვანა, საუკეთესო მაჩვენებელია იმ უკეთესისაკენ გარდატეხისა ,ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისა, რომელიც უკანასკნელ წელს ახასიათებს. პროლეტარიატის მატერიალური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება და ხელფასის საცხოვრებელ მინიმუმისათვის დაახლოვება და ამასთანავე შრომის ნაყოფიერების თანდათანობითი ზრდა იძლევა სიმტკიცის და სამეურნეო ფრონტზე შემდეგი გამარჯვების გარანტიას.

11. საქართველოს იმ ფაქტიურ დამოუკიდებლობას, რომელიც მენშევიკების დროს არსებობდა, და ფაქტიურად მონურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა პატარა ქვეყნების მტაცებლურ ექსპლოტაციაზე დამყარებულ მსოფლიო იმპერიალიზმისაგან, ასეთ დამოუკიდებლობას საბჭოთა საქართველომ დაუპირდაპირა კავშირი სხვა და სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან.

ამ მჭიდრო და ძმურმა კავშირმა, სადაც არ არის და არც შეიძლება იყოს ერთი ერის მიერ მეორეს დაჩაგვრა და რომელსაც საფუძვლად დაედო ყველა მშრომელთა საერთო კლასიურ ინტერესების დაცვა, ძალიან გაზარდა და განამტკიცა საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა.

იგი უკვე აღარ არის პატარა, მტებში მივარდნილი ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია არავითარი სულიერი ძალა უფრო ძლიერ ხალხთა ექსპლოატაციისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, არამედ იგი არის წევრი სახელმწიფოებს იმ ძლიერი კავშირისა, რომელსაც მსოფლიოს ერთი მეექვსედი უჭირავს.

12. საქართველოს მშრომლებს, ამ კავშირის წყალობით, შეუძლიათ დამშვიდებით იმუშაოს თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რადგან მათ ინტერესების სადარაჯოზე სდგას წითელი არმია, პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა ეს უძლეველი დამცველი. საბჭოთა საქართველოს არსებობის 2 წლის დღესასწაული ხვდება წითელი არმიის არსებობის 5 წლის თავს. ეს გარემოება კიდევ უფრო საზეიმო ხასიათს აძლევს დღესასწაულს, ვინაიდან თავისი არსებობის დაწყების დღიდან საბჭოთა საქართველო ხედავდა და ხედავს წითელ არმიაში თავის დამცველებს, თავის მახლობელ ამხანაგებს, თავის სიამაყეს და დიდებას. წითელი არმია არის სიმბოლო იმ მჭიდრო კავშირისა, რომელიც ერთ საერთო შრომის არმიაში აერთიანებს ყველა იმ ქვეყნების და ყველა ხალხთა მუშებს და მშრომელებს, რომელნიც შედიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირში.

13. ამგვარად საქართველოს გასაბჭოების დღიდან საქართველოს ისტორიაში დამთავრდა მონური არსებობის პერიოდი, რომელიც აღსავსე იყო შინაგან ჩაგვრითა და შეხლა-შემოხლით, ბოლო მოეღო გარეშე მტრულ ძალებისაგან დამოკიდებულებას, განადგურებას და გალატაკებას, [illegible] დაიწყო ახალი ხანა, რომელ[illegible] ახალ, თავისუფალ ცხოვრებ[illegible] ისტორიის პირველი [illegible] გვიჩვენებს, რომ წარს[illegible] დაბრუნება შეუძლებელია, რომ [illegible] ცხოვრება მყარდება, რომ [illegible] რომელიც საქართველოს ნ[illegible] ზე ჩაიყარა, მოგვცა შესანიშნ[illegible] [illegible] და მას აღარ აშინებს არც სიცხე და არც სიცივე.

14. და გაკოტრებულ მენშევიკებ[illegible] ვერავითარი მოწოდება „უცხოეთის ოკუპაციის" წინააღმდეგ პროტეს[illegible] საკენ, ვერავითარი მათი განგაში საქართველოს ხალხის თავისუფლ[illegible] და დამოუკიდებლობის შესახებ, რომლითაც ვითომდა სარგებლობდა მათი ბატონობის დროს, შეცდომაში ველარ შეიყვანებენ საქართველ[illegible] მშრომლებს, ვერ ჰპოებენ თანაგრძნობას პროლეტარიატს შორის. [illegible] წლის მუშაობამ, არა უცხოეთის მ[illegible]ცებლებისათვის, არამედ თავისი [illegible]ტერესების სასარგებლოთ, ნაციონალური მშვიდობიანობის მოძმე ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობის [illegible]თელ არმიასთან უფრო და უფრო დახლოვების ორმა წელმა-მოიტანა რომ მენშევიკების ველარავითარი მოწოდება ველარ ჰპოებენ მსმენელს საქ რთველოს მშრომელ მასებს [illegible]რის, რომელთაც ზიზღით შეაქ[illegible] ზურგი ამ გაკოტრებულ მოლაყბე[illegible] რომელნიც ტყუილ-უბრალოთ სც[illegible]ლობენ ხელი შეუშალონ პროლე[illegible]რულ რევოლიუციის განვითარ[illegible] კომუნიზმის აუცილებელ გამარ[illegible]ბას და საბჭ. სოც. რესპუბლ[illegible] მსოფლიო კავშირის მოწყობას.

საქართველოს კომპარტიის ტ[illegible]ლისის კომიტეტის საგიტაციო პროპ. განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეების მიწები გლეხებს

(წერილი სიღნაღიდან)

თებერვალს ქ. სიღნაღში შესდგა თა ალმასკომების თავმჯდომარეე- , თემკომების მდივნების და მიწის ტეტების წარმომადგენელთა ბირი, სადაც მთავარ საკითხად ული იყო მიწის საკითხი და მისი როდ ცხოვრებაში გატარება, თა- დ საქართველოს ცენტრალური სკომის მესამე სესიის დადგენი- ისა, რომელსაც თათბირი აღფრ- ანებით შეხვდა.

თბირს დაესწრო მიწათ-მოქმე- ს სახალხო კომისრის მოადგილე გ. კანდელაკი.

ხსენებების შემდეგ, რომელმაც ანი კამათი გამოიწვია, მიღებულ შემდეგი რეზოლიუცია, რომლის ერთი მუხლი მოგვყავს შემო- ით:

უახლოეს დროში გატარებული „დარტყმითი" წესით რევოლიუ- ური სინდისის მიხედვით დეკრე- № 17.

თათბირი მოითხოვს ალაზნის ა, მოუვლელობის გამო გაპარტა- ულ სახალხო ბაღების გადმოცემას ის განკარგულებაში.

) ვინაიდან ქიზიყის რაიონში მი- მფლობელობა თემურია და ამ ომარეობით კი სარგებლობენ ად- ობრივი „კულაკები" და საქონ- პატრონნი, უმრავლესობა კი ომელი ხალხისა მოკლებულია მი- დამუშავებას, ამიტომ თათბირმა ოყო ცალკე კომისია, რომელმაც ის მხრივ დაადგინა: იმ საქონლის ტრონი, რომელსაც უღელზე მეტი ამა საქონელი ჰყავს, ვაიძულოთ და- არის უსაქონლო მხვნელ-მთესველს ვერის სეზონური მუშაობის დროს, ვ. მოხვნის დროს, ვინც ამ დადგე- ლებას არ დაემორჩილება, მას ჯა- მის სახით გადახდეს განსაზღვრუ- რაოდენობა საერთო საქონლიდან.

4) თათბირი იღებს აგრეთვე მხე- ველობაში კულტურული მამულების ტენსიურად დამუშავებას და საშუა- ო ოჯახის 3—5 წევრის შრომის ნარს და ადგენს: გურჯაანის რაიო- ისათვის საშუალო ოჯახზე 4 დესე- ინა ნორმა იქნეს შემცირებული 2 ესეტინამდე და 5 წევრზე მიეცეს რა უმეტეს 3 დესეტინისა. ამით სა- ულება მიეცემათ დაკმაყოფილდნენ ეტი წილი მშრომელი ხალხისა და მასთან ერთად თვით ოჯახის წევრე- ბიც სამებიან მეურნეობაში.

5) ადმინისტრაცია ყოველივე ღო- ნისძიებას ხმარობს ტყის დაცვისათ- ის და თუ ზოგიერთ ალაგას სატყეო ნდება ირღვევა, ეს აიხსნება ნაწი- ობრივ თვით ხალხის შეუგნებლო- ით და მოუმზადებლობით. რომ შე- გნება ნაწილობრივ გაუმჯობესდეს გილი აღარ ქონდეს, საჭიროა აგი- აცია ტყეების მნიშვნელობაზე, აგ- რეთვე საჭიროა მეველეების გაჯანსა- ება და მათი კონტროლის გაწევა ასკომის მხრით, გარდა ამისა თა- ბირი მოითხოვს, ცენტრის მიერ მი- ღებულ იქნას ზომები სხვა და სხვა ხრიდან გადმოსახლებულების მი- ერ ამა თუ იმ რაიონში, რადგანაც დმოსახლებულნი ნებადაურთველად ულოდ ჩეხავენ ტყეებს, რომელთაც როგორც სახელმწიფოებრივი ადგილობრივი ხასიათი და მნიშ- ვნობა.

თხოვოს მთავრობას, რომ სიღ- ს მაზრაში სოფ. ახალშენში გახს- ერთი სამეურნეო ტექნიკუმი და დაბალი სასწავლებელი.

) დაევალოს სამაზრო ალმასკომს ფის სოფ. მუკუზანში მოკლე ვა- ნი კურსები მევენახეობის შესას- ლად.

თათბირის შემდეგ თითქმის ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები გაეშურ- ნენ რაიონებში ამ მხრივ მუშაობის გასაძლიერებლად, რომელთა ნამუშევა- რი გამოიხატება შემდეგში:

ჩამოართვეს: სოფ. ანაგაში: 22 დესეტინა ვენახი თავისი მარნებით მემამულეთ—ძმათა მჭედლიშვილებს, მირინაშვილებს და საინოვებს (ვაჭრებს).

კარდანახში: მაზრაში ცნობილ „თუნიაანთ" 6 დესეტინა მართულზე გაშენებული ვენახი, ორ-სართულიანი სახლი და მარანი; სესიაშვილებს 5 ნახ. დეს. ვენახი; ყოფილ პოლკოვნიკს ვაჩნაძეს 4 ნახ. დეს. ვენახი, ამ უკანასკნელს სამი დესეტინა ვენახის გაყიდვა მენშევიკების დროს მოუსწრია; ვაჩნაძეებს სახლი და კარმიდამო. ამ სოფელში ამიერიდან უვენახო გლეხი აღარ იქნება.

ბაკურციხეში: ცნობილ ტორომანოვს ვენახი და სახლ-კარი, ედიშოვაჩნაძეს—8 დეს. ვენახი, აგრეთვე სესიაშვილებს და სხვათა.

გურჯაანში: სოსო და დათა ანდრონიკაშვილებს მთლიანად ჩამოართვეს ადგილ-მამული როგორც ძველ ფეოდალებს და გაყვეს სასახლეებად; იქ უსახლ-კარო გლეხები გამალებით აკეთებენ შენობებს; ჩუმლაყში: ალაგმეს ოთაროვები, ზერელაშვილები, ავალიშვილები.

სოფ. ახალშენში: ამირხანოვს, სარიევს და წინამძღვრიშვილებს ჩამოართვეს ვენახები ზომით 17 ნახ. დეს. ამავე რაიონში ჩამოერთვათ მამულები ჭავჭავაძეებს, ჯანდიერებს, აჯიმამუდოვებს და სხვათ.

სოფ. მელაანში: ანდრონიკაშვილებს ჩამოართვეს 25 დეს. მიწა და უზარ-მაზარი შენობა, რომელშიც უკვე სკოლა მოაწყვეს.

ჯერი მიდგა ცნობილ სიღნაღის „გოლოვას", ნიკო ამირხანოვის (დაშნაკელია) მამულზე, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა შემოსავლის მხრივ: ორ-სართულიანი სახლი და სხვა შენობები, წყლის დიდი წისქვილი, საუკეთესო ხეხილის ბაღი, სახნავი მიწები და ტყე.

ახლო მომავალში სავსებით აღმოიფხვრება ფეოდალური მიწათმფლობელობა. ყოფილ თავადებს და ყველა ჯურის ჩარჩ-სპეკულიანტებს ჩამოერთმევათ მიწები და მამულები და მათი ბუნებრივი და კანონიერი ბატონ-პატრონი გახდება მიწის მუშა, რომელიც თავისი ფიზიკური შრომით ამუშავებს მას.

გლეხები ყველგან მიწის კომისიების მუშაობას აღფრთოვანებით ხვდებიან.

ვ. იკობაშვილი.

მისალმება კომპარტიის ცეკას.

(ასლი სახალხო კომისართა საბჭოს და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს).

სიღნაღის მაზრის აღმასკომების, მიწის კომიტეტების თავმჯდომარეთა და თემის პარტ. კომიტეტების მდივანთა თათბირი, შეკრეფილი ქალაქ სიღნაღში ჩვენი ცხოვრების უდიდეს მნიშვნელობის, მიწის საკითხის ერთხელ და სამუდამოდ სამართლიანათ გადასაწყვეტათ და აგრეთვე მიმდინარე ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენების გასათვალისწინებლად, აღფრთოვანებით მიესალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც გადასდგა გადაჭრილი ნაბიჯები როგორც დიდ მნიშვნელოვან მიწის საკითხის, ისე კიდევ მრავალ სხვა საკითხების სფეროში. ყრილობა უსურვებს ცენტრალურ კომიტეტს გამარჯვებას რევოლიუციონურ მუშაობის ასპარეზზე და თავის მხრით პირდება მას ყოველივე დახმარებას და მოქალაქეობრივი გამბედაობის გამოჩენას რევოლიუციონურ სინდისის მიხედვით.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელთა მცველს და დარაჯს, კომუნისტურ პარტიას.

თათბირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვარამაშვილი.**

ების ფედერატიული ყრილობა. თა ხელისუფლების საგადასა- ო პოლიტიკა, კულტურულ განათ- ის მუშაობა სოფლად, ფინანსი- ი რეფორმა და საკითხები ადგი- ობრივი მეურნეობის შესახებ. დღის რიგის უმეტეს პუნქტებზე მოხ- ებით გამოვიდა სამაზრო აღმას- ლებელი კომიტეტის თავმჯდომა- ამხ. მოცემელიძე. ფართო მოხსე- ით სასოფლო კულტურულ მეურ- ობაზე გამოვიდა სპეციალისტი აგ- ნომი ამხ. კარიჭაშვილი, კონფე- ენციამ ერთხმათ გამოიტანა რეზო- ლიუციების მთელი რიგი. უპარტიო ობა მეტად კმაყოფილი დარჩა ფერენციით.

ანტირელიგიური პროპაგანდა. ურისხევის თემში ანტირელიგიური ანია წარმატებით ტარდება თითქ- ყველა სოფლებში. იყო წაკითხუ- მოხსენებები სამღვდელოების და- ნიშნულებაზე და მოქმედებაზე. ბევრ ფლებში გამოაქვს რეზოლიუციები ლესიო დღესასწაულების გაუქმე- შესახებ, რადგანაც ეს დღესას- წაულები მეტად აქვეითებენ გლეხე- ის ეკონომიურ კეთილდღეობას. სა- ფლო მიტინგებზე იყო შემთხვე- ა, როცა გლეხები თითონ თხოუ- ობდნენ პასუხს სამღვდელოებიდან ო არა კეთილი საქციელის შესა- ებ წარსულში და აწმყოში, მაგრამ ღვდელოებამ ვერაფერის თქმა ვერ ახერხა თავისი გასამართლებლად, ავტორიტეტი.

ბათუმი

ბათუმის ნავთსადგურში. 8 თებე- რვალს ბათუმიდან მოვიდა გემი სისი", რომელმაც ნავთი წაიღო. 7 თებერვალს გემ „ნოვოროსიისკ"-ით ბათომში მოტანილია 25 ყუთი მინა, 128 ყუთი ფანჯრის მინა. 200 ფუთი შაბი, 5 ყუთი პირის საპონი შაქრის ფხვნილი, ასანთი, ლანჩა, ერბო ავეჯი, თევზი 2,000 ფუთი ფქვილი 640 ფუთი თამბაქო, 53 ფუთი მანუფაქტურა და სხვა. 10 თებერვალს „ნოვოროსიისკ"-ი ოდესისკენ მიემგზავრება.

კავკასიური საქონელი. მთავარმა საზღვაო სააგენტომ ბათომში სევასტოპოლიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: ვაცნობებ საქართველოს ნავთსადგურებს. რომ კავკასიურ საქონელს და მათ შორის ფორთოხალს და ლიმონსაც, უნდა ახლდეს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოწმობები; წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი დაკავებული იქნება დ უკანვე გაიგზავნება.

სომხეთი

ნავთის პროდუქტა რეალიზაცია. სომხეთის ეკონომიურმა თათბირმა დაადგინა წინადადება მისცეს სახალხო მეურნეობის საბჭოს, რათა მან რეალიზაცია უყოს თავის ნავთის პროდუქტებს სომხეთის კოოპერატივების საშუალებით.

პროტესტი რურის ამბების გამო. ერევანში და მის მაზრებში გრძელდება მიტინგები და სხდომები, რომელთაც გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ რურის ოკუპაციის საწინააღმდეგოთ.

დამშეულთა დახმარების ცენტრი. სომხეთის ცაკმა თავის უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა შეინახოს დამშეულთა დახმარების ცენტრი. მისს თავმჯდომარედ ინიშნება სომხეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი, მოადგილეებად—კოსტანიანი და პოგოსიანი. დამშეულთა დამხმარე ცენტრის განკარგულებით გაცემულია 100,000 ფუთი მარცვლეულობა.

წითელი არმიის 5 წლის თავი. სომხეთის ცაკმა დაადგინა მოაწყოს ცენტრალური კომისია წითელი არმიის 5 წლის თავის სადღესასწაულო ზეიმის მოსაწყობად. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. შახსუვარიანი.

ოსმალეთის სომეხ მშრომელთა პროტესტი.

ერევანი. 11 თებერვალს ერევანში, სახელმწიფო თეატრში, ოსმალეთის სომეხ მშრომელთა ცენტრალურ ბიუროს მიერ გამართულ იქნა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი, მიმართული დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ სომეხ ლტოლვილთა შევიწროებისათვის. მიტინგი გახსნა ოსმალეთის სომეხთა წარმომადგენელმა ქირაირ მირზახანიანმა, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ევროპის იმპერიალისტების მოქმედებით გამოწვეული მძიმე განსაცდელი. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: კარინიანი, მრავიანი, ტერ-სიმონიანი და სხვ.

კრების მიერ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „დასავლეთ სომხეთის მშრომელი სომხობა გამოსთქვამს თავის მტკიცე პროტესტს საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მათ მიერ მცირე ერების და მათ შორის სომხობის ექსპლოატაციის გამო. ამ პოლიტიკის მეოხებით დაიღვარა სისხლი სომხეთ-ოსმალეთის მშრომელთა შორის, განადგურდა სომხეთის მოსახლეობა და მისი მეურნეობა. ოსმალეთის სომეხ მშრომელთა სახელით. დამსწრენი აცხადებენ პროტესტს ოსმალეთში ხალხთა შორის ხოცვა-ჟლეტის მოწყობის სურვილის გამო, რომელიც ემყარება განუხორციელებელ ილუზიებს სომხური კერას შესახებ. დასავლეთის მშრომელი სომხობა ერთხელ კიდევ აცხადებს თავის მხურვალე პროტესტს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებს, მიმართულებების და უპასუხისმგებლო მოღვაწეთა თავნება გამოსვლების წინააღმდეგ. რომლებიც გვევლინებიან სომხეთის ხალხის ნიღაბით,—ეს ლაქიები დასავლეთ-ევროპის და ამერიკის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მცირე ერების ექსპლოატაციის საქმეში. ოსმალეთის მშრომელი სომხობა აცხადებს, რომ მათ თავიანთი ბედი შეუკავშირეს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას და მისს ავანგარდს—საბჭოთა ფედერაციას, რომლის ძმურ დახმარების საშუალებით ოსმალეთის მშრომელი სომხობა ნახავს ჭეშმარიტ ცხოვრებას, მშვიდობიანობას და განვითარებას. საბჭოთა ფედერაციამ, თავის რევოლიუციონურ აქტით—საკუთარ ტერიტორიაზედ ოსმალეთის სომხობის მიღების თანხმობით—დაამტკიცა თავისი გულწრფელი სამსახური რევოლიუციონურ საქმისადმი".

განათლების განყოფილებათა გამგეების მე-3-მე ყრილობა

ორშაბათს, 12 თებერვალს საღამოს 5 ნახევარ საათზე განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა საქართველოს განათლ. განყოფ. გამგეობის მესამე ყრილობა. ყრილობა გახსნა განათლების კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა.

ამხ. დ. კანდელაკის სიტყვა.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ განათლების განყოფილებათა გამგეების მესამე ყრილობა გახსნილათ გამოვაცხადო. ჩვენთან ერთად აქ არიან დღეს აჭარის და სამხრეთ-ოსეთის განათლების კომისრები. ამ ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს ბევრი საჭირბოროტო საკითხები სწავლა-აღზრდის დარგში. ცენტრში უფრო კარგათ ვართ მოწყობილი, ვიდრე პერიფერიებში. დასავლეთ საქართველოში საკმარისად არის სკოლები და აღმოსავლეთ საქართველოში კი საგრძნობლათ ნაკლები, ამიტომ მეტი ყურადღება ექნება მიქცეული აღმოსავლეთ საქართველოს სასკოლო საქმეს.

ფონდის განაწილების საქმეში ჩვენ მხედველობაში გვექნება უმთავრესად აღმოსავლეთი საქართველო.

დღემდე ზოგიერთ მაზრის განათლების განყოფილებები იმდენათ ვერ დაუკავშირდენ ცენტრს, რომ სწორი ინფორმაცია მოეცათ ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ, ამიტომ ფონდის (ულუფა და სხ.) განაწილებაც სათანადოთ ვერ ხდებოდა. ამას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება ყრილობამ.

შემდეგი საკითხი, რაც უნდა გადასწყვიტოს ყრილობამ, არის ჩვენი მეთოდიური მოუწყობლობა. შედარებით შრომის სკოლები უფრო უკეთეს მდგოვარეობაში არიან, ვინემ ტექნიკუმები. ჩვენ შევეცადეთ ცირკულიარებით გაგვეერთიანებია გეგმიანი მუშაობა მთელ რესპუბლიკაში, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ადგილობრივ მაზეზების გამო.

ამიტომ, ამ ყრილობაზე შევეცდებით, რომ პრაქტიკული საკითხები სათანადოთ იქნას გადაჭრილი. უნდა მივიღოთ ახალი საერთო გეგმა.

ჩვენი სტუდენტობა ვერ არის სათანადოთ მომზადებული, არც საშუალო და შრომის სკოლებია აკადემიური მხრით კარგ მდგომარეობაში. ამიტომ სწავლის დონე საგრძნობლათ აწეულ უნდა იქნას და გათანასწორებული საერთოთ.

მესამე საკითხი, რომელსაც აქ გავარჩევთ, ეს იქნება მაგარი გეგმის გატარება სწავლის საქმეში. ასეთი გეგმა ჰქონდა კომისარიატს გამომუშავებული, მაგრამ ეს არ ტარდებოდა ადგილობრივ, რის მიზეზებს მოგახსენებთ აქ. მაგრამ ეხლა კი ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქნას საქმე მოგვარებული. ცენტრს უნდა მიენდოს სამოსწავლო პერსონალის განაწილება, დაუშვებლათ მივიჩნევთ იმ გადახვევებს, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ განათლების განყოფილებების მეთებით. მაგალითად, აქ ტფილისში მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან კომისარიატის დაუკითხავათ იხსნებოდა ახალ-ახალი სასკოლო ბაღები და სხვა, რაც აფერხებდა ფონდის განაწილების საქმეს.

მეოთხე საკითხი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ესაა გამომცემლობის საქმე.

ჩვენ სკოლებს აკლდათ წიგნი, ამის მიზეზი იყო უსახსრობა. ხოლო მას შემდეგ, რაც სახელმწიფო გამომცემლობას სათავეში ჩაუდგა მთავრობის თავმჯდომარე ამხ. **მამია ორახელაშვილი,** სახელმწიფო გამომცემლობა ქონებრივათ გაუმჯობესდა. არჩეულია სარედაქციო კოლლეგია. შემუშავებულია გამოსაცემ სახელმძღვანელო წიგნების სია.

ცხადია, ისეთი მოვლენა, რასაც დღემდე ქონდა ადგილი, დაუშვებელია. მაგ. ცალკე გამომცემლობა ქუთაისში და სხ. იცემოდა წიგნები, რაც სრულებით არ იცოდა სახელმწიფო გამომცემლობამ. ეს წიგნები შეჰქონდათ სკოლებში სახელმძღვანელოთ ჩვენდა დაუკითხავათ. ამიტომ დღეიდან მთელი გამომცემლობა უნდა იქნეს ცენტრალურ გამომცემლობის ხელში და არას გზით არ იქნება დაშვებული ის მოვლენა, რასაც აქამდე ადგილი ჰქონდა.

შემდეგი საკითხი საორგანიზაციო ხასიათისაა: დამოკიდებულება განათლების განყოფილებებსა და კომისარიატს შორის.

ჩვენ შეკითხვებზე ადგილებიდან ან სრულიად არ ვღებულობდით პასუხს, ან ძალიან დაგვიანებით. ამასთანავე ადგილობრივ სცემდენ სხვა და სხვა განკარგულებებს, რაც არ შეეფერებოდა ჩვენ მთლიან გეგმას და ამავე ცნობას ვერ ღებულობდა კომისარიატი. ასეთი მოვლენები მოსათმენი იყო საორგანიზაციო ხანის დროს. მომავალში სეპერატიული ნაბიჯები არ იქნება დაშვებული, ანგარიშები უნდა იქნეს წარმოდგენილი ყოველ სამ თვეში ერთჯერ, ჩვენი განკარგულებანი და დადგენილებები უნდა გატარდეს ცხოვრებაში დაუყონებლივ და გადაუდებლათ. ამას მე ვლაპარაკობ უმაღლეს ხელისუფლების სახელით. ყველა ეს დიდი ენერგიით იქნება გატარებული. შემდეგ ამისა კიდევ წამოიჭრება ჩვენს წინაშე საორგანიზაციო საკითხები, რომლის შესახებ აქ მოგახსენებთ ამხ. მამულაიშვილი. მიუხედავათ ჩვენი გრძელი და შინაარსიანი ცირკულიარებისა, განათლების განყოფილებები მაინც არ გვიგზავნიდენ ანგარიშებს რეგულიარულად გასავლისა და შემოსავლის შესახებ, რის გამო ფინანსიურ განყოფილებას ხშირად უძნელდებოდა თვიური ანგარიშების გასწორება. ეს წესი ურთიერთი დამოკიდებულების და ანგარიშების ესიერად წარმოების სფეროში უსათუოდ უნდა შესრულდეს, რომ ჩვენი კავშირი მომავალში უფრო მჭიდრო იყოს.

აქ იტყვის მთავარი პრ. განათლებ. გამგე საშუალო სასწავლებლებზე. უნდა ითქვას, რომ საშუალო სასწავლებლები სათანადო დონეზე დღემდეც ვერ არის მდგარი, რასაც ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ და იმ ანარქიას, რომელსაც ადგილი აქვს მაზრებში კომისარიატის ნება დაურთველათ სასწავლებლების გახსნის დარგში, ბოლო უნდა მოეღოს. ზუგდიდის მაზრაში იყო ასეთი შემთხვევა: როცა განათ. კომისარ. ტექნიკუმი დაკეტა ხეთაში, განათ. განყოფილებამ ჩვენდა ნებადაურთველათ მაინც გახსნა. აი ასეთი ანარქია დაუშვებელია. ამის შესახებ მოგახსენებთ თქვენ ამხ. მამულაძე.

აქვე იქნება გარჩეული განათლების განყოფილ. და კავშირის შორის დამოკიდებულება. განათლების კომისარიატსა პროფკავშირსა და განათლების განყოფილებათა შორის დამოკიდებულება დღემდე გაურკვეველია. ხშირად კავშირის მოვალეობას ადგილობრივ ასრულებენ განათლების განყოფილებები, ანდა წინააღმდეგ. ჩემი რევიზიის დროს ბევრი შემთხვევა იყო, როცა კავშირის მოვალეობას ასრულებდნენ განათ. განყოფილებები და არა ადმინისტრატიულ ფუნქციებს თავის თავზე ღებულობდნენ. უსათუოთ ამას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ამ საკითხებს უნდა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება და ყრილობამაც უნდა გამოიტანოს თავისი დასკვნა, რათა გავაჯანსაღოთ ჩვენი მომავალი მუშაობა.

მე მგონია, ვინაიდან ეს ყრილობა მცირე და უფრო უწყებრივია, პრეზიდიუმის არჩევა სპეციალურად არ დაგვჭირდება, და ამიტომ ნება მომეცით სახალხო განათლების კომ. კოლეგიამ პრეზიდიუმის სახით უხელმძღვანელოს ყრილობას. ყრილობამ მიიღო ამხ. კანდელაკის წინადადება ერთხმად.

ამგვარად ყრილობის პრეზიდიუმში შევიდენ: ამხ. ამხ. **კანდელაკი, მარია ორახელაშვილი, მამულეიშვილი.**

შემდეგ მიღებულ იქნა დღის წესრიგი. ამხ. ლ. რუხაძის წინადადებით, ჩაერთო საკითხი ადგ. აღმასრულებელი კომიტეტების და განათ. განყ. დამოკიდებულების შესახებ. ამხ. ნადირაძის წინადადებით მიემატა დღის წესრიგს: „მიმდინარე საკითხები". ყრილობამ ორივე შესწორება დაადასტურა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. **მარია ორახელაშვილი.**

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა

პარასკევს, 16 თებერვალს.

ერთიან პარტიულ დღეს

დასვათ საკითხი—წითელი არმიის 5 წლის და საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლების 2 წლის თავი.

თეზისები გამოქვეყნებული იქნება დამატებით.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**მიხ. კახიანი.**

20 თებერვლისთვის მოწვეულია ქ. თბილისის და თბილისის მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების

პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
2. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები.
3. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგები და საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობის უახლოესი მიზნები.
4. არჩევნები.
5. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა. 10-სგან ერთი დელეგატი.

არჩევნები ხდება ქ. თბილისის საერთო რაიონულ კრებებზედ და თბილისის მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების პარტკონფერენციებზე.

კონფერენციის გახსნის დროსა და ადგილის შესახებ გამოცხადებულ იქნება დამატებით.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

ცირკულიარი № 24.

ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს

(რომელნიც ეკვრიან რკინის გზის ხაზს და ზღვის ნაპირებს)

ტრანსპორტის კომიაჩეიკების მდივნების თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო ა | წ. 26 იანვარს ქალ. ტფილისში, აღნიშნა ჩვენი მუშაობის სუსტი მხარეები ტრანსპორტზე, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

თათბირმა, სხვათაშორის, აღნიშნა რომ ტრანსპორტის კომიაჩეიკების საჯარო კრებები ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებში სრულებით არ იმართება, ხოლო დანარჩენებში—იმართება არა სისტემატიურად და ატარებენ მხოლოდ შემთხვევით ხასიათს. ამრიგად, კომიაჩეიკები წარმოადგენენ კარჩაკეტილ, სავსებით განცალკევებულ ორგანიზაციებს, რომელთაც კავშირი არ აქვთ უპარტიო მასებთან.

ეს არ არის ნორმალური მოვლენა, რომელსაც შეეძლება ხელის შეწყობა ტრანსპორტზე ჩვენი პარტიული მუშაობის გაფართოებისათვის, უპარტიო მუშებზე გავლენის მოპოებისათვის და მათ ჩვენს მხარეზე გადმოყვანისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე ძლიერ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ არა სასურველ მოვლენას და მიიღონ ზომები იმისათვის, რათა ტრანსპორტის კომიაჩეიკების საჯარო კრებებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას იძლევა: აღიარებულ იქნეს წესათ—ორკვირაში ერთხელ ტრანსპორტის კომიაჩეიკის საჯარო კრების გამართვა. დღის წესრიგში აუცილებლად დასმული უნდა იყოს ისეთი საკითხები, რომელიც აინტერესებს უპარტიო მუშათა მასებს, რათა ამით დავაინტერესოთ ისინი და ჩავაბათ გადასაჭრელ საკითხების განხილვაში.

მომხსენებელი უნდა იყოს სავსებით კომპეტენტური პირი, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ყველა საკითხების გაშუქება.

წამოყენებული ზომა მოგვცემს შესაძლებლობას:

1) ტრანსპორტის პროლეტარიატის უპარტიო მუშებში ჩვენმა კომიაჩეიკამ ღრმად გაიდგას ფესვები.

2) იაჩეიკის გარშემო შემოვკრიბოთ ტრანსპორტის უპარტიო პროლეტარიატი.

3) უპარტიო მუშებს შთაუნერგოთ ჩვენი შეხედულებანი, ჩვენი მისწრაფებები და მსოფლმხედველობა.

4) გავიგოთ თუ ვის აინტერესებს საზოგადოდ ჩვენი პარტიული ცხოვრება, რათა ჩვენ რიგებში შემოვიყვანოთ უფრო ღირსეული და სავსებით გამოსადეგი მუშაკები.

საქართველოს კომპარტიის ცეკა მიაქცევს თქვენ ყურადღებას კიდევ ერთს გარემოებას—პარტიული კომიტეტები ადგილებზე წინასწარ არ იმუშავებენ გეგმას ტრანსპორტზე მომავალი მუშაობისათვის. საგუბერნიო კომიტეტების მდივნების და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების უკანასკნელმა თათბირმა მოსკოვში ამ მოვლენას დიდი ყურადღება მიაქცია.

პარტკომებმა ადგილებზე უნდა შეადგინონ 2—3 თვისათვის გეგმა მომავალი მუშაობისათვის საზოგადოდ, კერძოთ კი ტრანსპორტზე პარტიული მუშაობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას იძლევა: ზემოდ აღნიშნული ზომები გატარებული იქნეს ცხოვრებაში რკინის გზის, საზღვაო და ადგალობრივ ტრანსპორტზე.

შედეგები ეცნობოს ცეკას.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი: ხაზაშვილი.

ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე: კოხტანიანი.

სატრანსპორტო განყოფილების გამგე: მუშანია.

1923 წ. 10 თებერვალი.

დახმარება წითელ ფლოტს

ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კომუჯრედში

2 თებერვალს, ერთიან პარტიულ დღეს შესდგა როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკასთან არსებულ კომუჯრედის სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება წითელ ფლოტის შესახებ, 2. ინფორმატორ-კორესპონდენტის და ახალგაზრდათა კომკავშირში წარმომადგენლის არჩევა და 3. პარტიის კანდიდატების წევრებად გადარიცხვის შესახებ.

პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა კომუჯრედზე მიმაგრებულმა ამხ. მარიამ ორახელაშვილმა, მოხსენების მოსმენის შემდეგ კომუჯრედს გამოაქვს რეზოლიუცია შემდეგი შინაარსის: ყოველგვარი დახმარება წითელ ფლოტს; კომუჯრედის ყოველი წევრის ერთი დღის ხელფასი გადაირიცხოს წითელი ფლოტის სასარგებლოდ; წინადადება მიეცეს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს თავისი ნახევარი დღის ხელფასი გადარიცხონ ფლოტის სასარგებლოდ.

მიჰბაძეს კომუჯრედის მაგალითს.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ კომუჯრედის წინადადებაზე ნახევარი დღის ხელფასის წითელი ფლოტის სასარგებლოთ გადარიცხვის შესახებ, ერთხმად დაადგინა გადასდონ ფლოტის სასარგებლოდ არა ნახევარი დღის, არამედ თავისი ერთი დღის სამუშაო ხელფასი.

ინფორმატორ-კორესპონდენტის არჩევა.

კომუჯრედმა აირჩია ახალი ინფორმატორ-კორესპონდენტი და დაავალა მას სისტემატიურად აგზავნოს გაზეთში ცნობები კომუჯრედის, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებისა და წარმოების მდგომარეობის შესახებ. ეს უნდა გახდეს მაგალითი სხვა უჯრედებისათვის.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედში.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სტუდენტთა და მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა კომუჯრედმა ამხ. გ. ნუცუბიძის მოხსენების მოსმენის შემდეგ, ერთხმად დაადგინა ყოველ მხრივ დაეხმაროს მუშათა კლასის მტრების გულსაკლავ—წითელი ფლოტის გაძლიერების საქმეს. სხვა დახმარებების გარდა ამავე კრებაზე შეკრებილ იქნა შეწირულებანი წევრებისაგან ფლოტის სასარგებლოდ.

ვჩქარობთ გივიგოთ რა გააკეთეს სხვა უჯრედებმა ფლოტის დახმარების საქმეში.

ეკონომიური ცხოვრება

საბაჟოების გახსნა აჭარის და ოსმალეთის საზღვრებ-ზე.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა დადგენილება აჭარის და ოსმალეთის საზღვრებზე საბაჟო დაწესებულებების გახსნის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად მაჭახლის—პირში, მერისიში და სარიჩაეში არსდება საბაჟოს სადარაჯოები.

საკითხი აღნიშნულ პუნქტების გახსნის შესახებ წამოაყენა ამიერ-კავკასიის საბაჟოების სამმართველომ. უკანასკნელი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ახალი საზღვარი არსებითად ეხება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს: მრავალი გლეხების მიწები და ბაღები დარჩა საზღვრის იქით, სახლები კი საზღვრის აქეთ, რამაც გლეხები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. ზოგიერთი მათგანი იძულებული შეიქნა სრულიად მცირე ფასებში გაეყიდა თავისი ქონება, სხვები კი სამუშაო სეზონში გადადიან საზღვარზე საკუთარ მინდვრებში და ბაღებში, რაც მეტად ძნელი მოსახერხებელია, რადგან გლეხებს თან მიაქვთ მთელი საჭირო ინვენტარი სულიერი და უსულო, ოჯახი და სხვ. ყველაფერი ეს აუარებელ ხარჯებს იწვევს და ამას გარდა გლეხს დიდი დრო სჭირდება საზღვარზე გადასვლის ნებართვის აღებად და სხვ.

ახლად გახსნილი საბაჟო პუნქტები დაემორჩილება აჭარის წყალის საბაჟოს.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე სათანადო ინსტრუქცია საზღვრის გადასვლისა და საქონლის გადარეკის წესის შესახებ.

ამ ინსტრუქციის თანახმად საქონლის პატრონებს და მწყემსებს შეუძლიათ გაიტანონ საზღვარზე საბაჟოს გადასახადის გარეშე სურსათ სანოვაგე, მარილი ხალხისა და საქონლისათვის, ცივი იარაღი, სხვადასხვა გვარი ინვენტარი, საჭირო საგნები და სვვ.

„ზაკტაბაკ"-ის ორგანიზაცია.

ამიერ-კავკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა სააქციონერო საქართველო სამრეწველო საზოგადოება „ზაკტაბაკ"-ის წესდების პროექტი. ამ საზოგადოების მიზანია თამბაქოთ ვაჭრობა და აფხაზეთის თამბაქოს წარმოებისათვის ხელის შეწყობა. ამ საზოგადოების აქციონერებათ შეუძლიათ იქნენ დაწესებულებები, ორგანიზაციები, კერძო პირები, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში, ისე ს ზღვარგარეთ. საზოგადოებას უფლება ეძლევა მოიტანოს თამბაქო საზღვარ გარეთიდან (თუ ეს საერთოდ ნებადართული იქნება) და გაჰყიდოს ის შიგნით საბჭოთა რესპუბლიკებში; დაამზადოს საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში, და აგრეთვე საზღვარ გარეთ საქონელი, რომელიც გამოდგება საქონლის გაცვლა-გამოცვლის მიზნებისათვის თამბაქოს დამზადების დროს, და აგრეთვე მეთამბაქოობისათვის საჭირო მასალები; მიიღოს თამბაქო შესანახად და მისცეს სესხი მეთამბაქოებს, მიაწოდოს მათ მეთამბაქოებისათვის საჭირო იარაღები და მასალები; მოაწყოს საცდელი მინდვრები, სადგურები, გამართოს ყრილობები, ტეხნიკური და ეკონომიური გამოკვლევა თამბაქოს მრეწველობის საკითხის შესახებ და სხვ. საზოგადოების ძირითადი თანხა უდრის 2.000.000 მანეთს ოქროთა და იყოფა 8000 აქციათ, თვითეული 250 მანეთი. დამაარსებელთ რჩებათ არა ნაკლებ 4020 აქციებისა. აქციებზე ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს მათი ღირებულების 20 პროც. დანარჩენ წესებს და განაკვეთს შეიმუშავებს აქციონერების პირველი საერთო კრება.

ხელშეკრულება რ. ს. ფ. ს. რ- შაქრის ტრესტთან.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა რ. ს. ფ. ს. რ. შაქრის ტრესტთან დასდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი მიმდინარე წელს აწარმოებს შაქრის ტრესტის ქარხნების შაქრის გაყიდვას თავისი აპარატის საშუალებით მთელი ამიერ-კავკასიის ფარგლებში და სპარსეთის ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ ოლქებში.

ხელშეკრულების თანახმად, შაქრის ტრესტი ვალდებულია გამოჰყოს 1922 და 1923 წლეებში დამზადებულ შაქრიდან ამ რაიონების მომარაგებისათვის 1.200,000 ფ. შაქარი (500.000 ფ. ფხვნილი შაქარი და 700.000 ფ. რაფინადი).

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი ვალდებულია გაანაღდოს ეს შაქარი, ისე რომ, ამ პარტიის ნაწილი არა ნაკლებ 400 ათ. ფუთისა გაიყიდოს სპარსეთში. ამის გარდა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი—ვალდებულია აწარმოოს მხოლოდ ტრესტიდან მიღებულ შაქრის გაყიდვა, და არ შემოიტანოს უცხოეთის შაქარი, მანამ ეს ხელშეკრულე ა ძალაში იქნება.

სპარსეთში გასატან შაქრის შესახებ, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი და შაქრის ტრესტი საერთოდ ღებულობენ ზომებს შეღავათის მისაღებათ, რაც საჭიროა უცხოეთის შაქართან შეჯიბრებაში, რათა ჩვენი წარმოება გამტკიცდეს სპარსეთის ბაზარზე, რომელიც ყოველთვის რუსეთისაკენ მიილტვოდა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი შაქარს ჰყიდის ადგილობრივ საბაზრო ფასების მიხედვით,

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრ. სახ. კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად უკრაინაში უკვე დატვირთულია 25 ვაგონი შაქრით, რომელიც ამ დღეებში ხარკოვიდან გამოიგზავნება ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის სახელზე. უკვე დაწყებულია დანარჩენი შაქრის დამზადება გამოსაგზავნად.

„ჩიმო"-ში.

იანვრის განმავლობაში გატანილია საზღვარ გარეთ 410,583 ფუთი შავი ქვა, ამათგან: გარეცხილი—10,950 ფუთი და პიროქსიდი 31,050 ფუთი. ევროპის ქვეყნებში შავი ქვის ექსპორტი განისაზღვრება შემდეგნაირად: გოლანდიაში გაგზავნილია 421,850 ფუთი; ინგლისში—251,733 ფუთი; საფრანგეთში—37,200 ფუთი. 6 თებერვალს ფოთიდან გავიდა ამერიკული დროშით „მოსკოგონი", რომელმაც გაიტანა 4,981 ფუთი გარეცხილი მადანი.

ტყიბულის მაღაროებში.

დეკემბრის თვიდან შეუდგენ მუშაობას, რომელიც გამოიხატება ფენების ამოკვეთაში. ასეთი მუშაობა ადიდებს მსხვილი ქვანახშირის ამოღებას და ამავე დროს ამცირებს დინამიტის ხარჯს. ამ ჟამად მუშაობა დღითი დღე იზრდება და დეკემბრის განმავლობაში ამოღებულია 88,500 ფუთი ქვანახშირი; გაგზავნილია 208,790 ფუთი. დარჩა 357,201 ფ. გამგეობაში დეტალურად იქნა გარჩეული ტოლსკის ფენის ორი სისტემა.

აუცილებელ საჭიროების გამო გამგეობამ მიმართა დიდ სესხს და სრულიად რუს. სახ. მეურნეობის საბჭოს ნებართვით მან მიიღო რ. ს. ს. ფ. რ.-კის 20,000 მანეთი ოქროთი, რომლის გირაოთ აღნიშნულია საწყობებში შენახული ქვანახშირი. ვადა განსაზღვრულია პირველი თებერვლით. დადებულია ხელშეკრულება მაღაროებსა და თბილისის ტრამვაის შორის 100,000 ფუთი წვრილი ქვანახშირის ჩასაბარებლად, რისთვის მიღებულია ავანსად 5,000,000,000 მანეთი.

პირველი სასურსათო თათბირი

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატთან

(სხდომა მეორე—დასასრული)

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებული სომხეთში **ამხ. პოლოსიანიც** არ ეთანხმება ამხ. ბუკრეევს და მის მიერ წარმოდგენილი მეთოდი მიუღებლად მიაჩნია სომხეთისათვის, სადაც ერთგვარი თავისებური პირობებია სასურსათო გადასახადის კამპანიის განსახორციელებლად. ეს მეთოდი მეტად რთულს წინასწარ მუშაობას და მომზადებულ სასურსათო მუშაკთა დიდს შტატს ითხოვს. გადასახადის აკრება კი ფულის ერთეულით ამხ. პოლოსიანის აზრით წარმოუდგენელია სომხეთში სხვათა შორის იმის გამოც, რომ ზოგიერთს მაზრაში სულაც არ არის ფულის ტრიალი და იქ მიღებულია საქონლის გაცვლა. შემდეგ ამხ. პოლოსიანი ჩამოსთვლის სომხეთის თავისებურს პირობებს და აღნიშნავს, რომ 1922 წლის სასურსათო გადასახადის კამპანია იმის დამამტკიცებელია, რომ სომხეთში მიღებული მეთოდი სრულად შეეფერება ამ ქვეყნის თავისებურს პირობებს და მაშასადამე იგი 1923 წელსაც უნდა დარჩეს. შემცირებულ უნდა იქნეს მხოლოდ ასაკრებ პროდუქტების რაოდენობა. შემდეგ ამხ პოლოსიანი ეთანხმება ამხ. ბუკრეევს იმაში, რომ ხორცისა და თივის შეგროვება მიზანშეწონილი არ არის, მაგრამ საჭიროდ სცნობს, რომ სომხეთში დატოვილ იქნეს გადასახადი ერბოზე იმ შემთხვევაში, თუ სასურსათო კომისარიატის ხელში დარჩება მომარაგების ფუნქციები მით უფრო, რომ სომხეთის ბევრს მაზრაში განსაკუთრებით მესაქონლეობას მისდევენ. გლეხთა დანაწილების საკითხს სომხეთში მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან იქ „კულაკები" არ არიან და არის მხოლოდ საშუალო შეძლების და ღარიბი გლეხობა. უკანასკნელნი დეკრეტით არ არიან განთავისუფლებულნი გადასახადისაგან, მაგრამ ფაქტიურად ყველა მათგანს არ შეეძლო გადასახადის შეგროვება, რის გამოც აუკრებავი დარჩა შეწერილ გადასახადის 25 პროცენტი.

ამის შემდეგ კვლავ გრძელდება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: გორის სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. კალანდაძე, სალიანის სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. საფაროვი, აზერბეიჯანის სასურსათო საგადასახადო განყოფილების უფროსი ამხ. დენისოვი, სიღნაღის სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. თავდიშვილი, გოქჩის სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. საიდოვი და აზერბეიჯანის სასურსათო კომისარიატის საორგანიზაციო - საადმინისტრაციოსაფინანსო სამმართველოს უფროსი და იურისკონსულტი ამხ. დობროხოტოვი.

დასასრულ საბოლოო სიტყვა ეძლევათ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ამხ. ერქომაიშვილს, პოლოსიანს და ბუკრეევს, რომელნიც კვლავ იცავენ თავიანთს აზრს სასურსათო გადასახადის კამპანიის განხორციელების შესახებ.

ამით თავდება თათბირის მეორე სხდომა. მესამე და უკანასკნელი სხდომა ინიშნება თებერვლის 5-სთვის.

ს. მ. უ. ს. სახელმწიფო ღვინის ტრესტი

(მუშაობის მიმოხილვა 1923 წ.)

ღვინის, სპირტის და კონიაკის სახელმწიფო ტრესტი მოეწყო ტფილისში საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის 1922 წლის 10 მაისის დადგენილებით, ღვინის, სპირტის და კონიაკის მრეწველობის სისწორით განვითარების და ჩამორთმეულ წარმოებათა სამმართველოს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის მიზნით.

ტრესტის მოწყობისას მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა იმ ქარხნების აღდგენას, რომლებიც დიდი ხანია არ მუშაობდენ და მის გამო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

ფაქტიურად ტრესტი შეუდგა ორგანიზაციას 1922 წ. 15 მაისიდან. საჭირო შეკეთების შემდეგ ივნისში ამუშავებული იყო ქარხანა № 1 (ყოფ. სარაჯევისა) და № 2 (ყოფილი ამხანაგობა „არგო") ორთავე ტფილისში. გომის არაყის სახდელი ქარხანა ამუშავებული იყო აგვისტოს დასაწყისში, სასწრაფო შეკეთების და სათანადო ნედლი მასალის მიწოდების შემდეგ.

დანარჩენი წარმოებები არ მუშაობდენ კაპიტალური შეკეთების საჭიროების გამო. ტრესტს მოეპოებოდა საბრუნავი კაპიტალის სახით დამზადებული ფაბრიკატები 3 მილიარდ მანეთის (ქართ. ბონ.) რაოდენობით.

საჭირო იყო ამ ფაბრიკატების დაუყონებლივ განაღდება, რათა საბრუნავი კაპიტალი შეცვლილიყო ფულის ნიშნებით.

ტრესტის მოწყობიდან 1922 წ. 1 ოქტომბრამდე ზემოდ აღნიშნულ ქარხნების მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაო: დამზადებულია კონიაკი ერთი მეოცედი—67818 მ., ერთი მეათედი—6644, არაყი ერთი მეოცედი—16237 და ერთი მეორ-

მუშათა ცხოვრება

ნამდვილი პროლეტარული საღამო

მიმდინარე წლის 10 თებერვალს ზეთის-საპნის და საქსოვ ქარხნის ტრესტის კუთვნილ წარმოებების ადგილობრივ კულტკომისიის მიერ გამართულ იქნა აღნიშნულ ტრესტის მუშების საღამო.

საღამოს, რომელიც დაიწყო საღამოს 8 საათზე, დაესწრო თითქმის ყველა მუშები თავთავიანთ ცოლშვილითურთ. აღსანიშნავია ის ფრიად იშვიათი აღტაცების ატმოსფერა, რომელიც ტრიალებდა საღამოს ბოლომდე.

მშვენივრად მორთულ კლუბის სცენაზე მუშებმა შეასრულეს შეძლების დაგვარად სხვა და სხვა ნომრები, რომელთა შორის საერთო ყურადღება მიიქცია ნიკოლოზ მეფის ტახტიდან ჩამოგდების „ინსცენიროვკამ“. საკონცერტო განყოფილებაში მუშების მიერ შემდგარმა სიმფონიურ ორკესტრმა შეასრულა სხვა და სხვა პიესები, რითაც დიდი აღტაცება გამოიწვია მუშებში. შესრულებულ იქნა აგრეთვე ეგრედწოდებული „მეზღვაურის ცეკვა“. დასასრულ მუშებმა წაიკითხეს პროლეტარულ შინაარსის ლექსები. ამ განყოფილებაში აღსანიშნავია ერთი წერა-კითხვის უცოდინარ ხანში შესულ მუსულმან მუშის გამოსვლა, რომელსაც ზეპირად დაესწავლა რუსული საბავშვო ლექსი, „პეტუშოკ“-ი და დიდის რიხით და გამოთქმით ჩაარაკრაკა ის ბოლომდე. მის შემდეგ გამოვიდა ერთი აქაური მუშის სამი წლის ქალი, რომელმაც შეუდარებლად წაიკითხა ლექსი. ამ უკანასკნელ ორ საკონტრასტო სანახაობამ დიდათ ასიამოვნა ჩვენი მუშები.

სხვათა შორის ამ საღამოზე ერთ ძველ რევოლიუციონერმა მუშამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან ხაზგასმით აღნიშნა ამ საღამოს უაღრესად პროლეტარული ელფერი, და გამოსთქვა რა ამის შესახებ თავისი აღფრთოვანება, წინადადებით მიმართა დამსწრეთ, რათა გაეღოთ მათ შეძლების დაგვარად თავისი წვლილი კულტკომისიის საშვალებების გასაძლიერებლად.

მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მუშებში და იქვე შეგროვილ იქნა 10 მილიონი მანეთი.

დასასრულ იგივე კულტკომისიის სასარგებლოდ მუშებმა აუქციონზე გაათამაშეს ერთი ბოთლი კონიაკი, რომლითაც შეგროვილ იქნა 5,570,000 მანეთი.

მუშები დიდათ კმაყოფილი დარჩენ საღამოთი და ღამის 1 საათზე თავის ბინებში წესიერად დაიშალენ.

მუშა ინფ. მ—ვი.

ცენტროგარაჟი

„ცენტროგარაჟი“ მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე და ეკუთნის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს.

აღნიშნულ გარაჟის მდგომარეობა ჰიგიენის მხრივ ერთი თვის წინეთ იყო ძალიან ცუდი. როგორც გარაჟის ეზოში, ისე თვით შენობებში, სადაც აქაურ მუშებს უხდებოდათ მუშაობა რამოდენიმე საათის განმავლობაში, სუფევდა დიდი უსუფთაობა. აქ არ იყო მოწყობილი მუშებისათვის ხელსაბანი, არც პირსახოცი და არც საპონი—მუშებს არ გვეძლეოდა. ასე რომ მაზუთებით და სხვა და სხვა გვარ ზეთით გასვრილ-დაწვირიანებული მუშები სამუშაო დღის ბოლოს სასწრაფოდ სახლისაკენ მივეშურებოდით, რათა ადრე მოგვეშორებინა ეს ტალახი ჩვენი ხელებიდან და პირიდან.

ამ მიზეზის გამო ჩვენ იძულებული გავხდით მიგვემართა პატარა წერილით გაზეთ „კომუნისტ“-ის რედაქციაში, რომელშიაც ჩვენ მოვითხოვდით ადმინისტრაციისაგან მეტს ყურადღებას მუშებისადმი და სანიტარიის მხრივ შრომის პირობების დაცვას. რედაქციამ ჩვენი წერილი „მუშათა ცხოვრებაში“ მოათავსა და ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ადმინისტრაციამ მოაწყო გარაჟის შენობაში ხელსაბანი მუშებისათვის, რისგამო „კომუნისტ“-ის რედაქციას ვსწირავთ ჩვენი მუშურ მადლობას. მაგრამ აქ არ შეგვიძლია აღარ ავღნიშნოთ ის, რომ ადმინისტრაციამ მაინც ვერ შეიგნო რიგიანად, რომ ხელსაბანს უსათუოდ სჭირდება საპონი და უმეტესად კი ხელსახოცი. განა უხელსახოცოდ ამ ზამთარში ხელის და პირის დაბანა შეიძლება თუ გინდა სპილოს ნერვები და ჯანმრთელობა ჰქონდეს ადამიანს? მართალია, ხელსახოცების ნაცვლად რაღაც „ქინქები“ ჩამოჰკიდეს ხელსაბანზე, მაგრამ ეს უკანასკნელები ისე დაწეწილ და წვირიანი არის, რომ მით სარგებლობა შეუძლებელია. არამც თუ მათი ხმარება, არამედ შორიდან შეხედვაც გული გერევა ადამიანს. ამიტომ ხელმეორედ მოვითხოვთ ადმინისტრაციისგან ჩვენი შრომის ინტერესების დაცვას და გარაჟის ჰიგიენურად მოწყობას.

მუშების ერთი ჯგუფი.

ძირს ლოთობა!

რა შედეგი მოსდევს ლოთობას? ამ კითხვაზე გამოცდილი კაცი ასე გვიპასუხებს: „გახრწნილება და ზნეობით დაქვეითება“!

ეს პასუხი სიმართლეს მოკლებული არ არის, ამ საგანზე ძალიან ბევრი დაწერილა იმ საუკეთესო ადამიანებისაგან, რომელთაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად აქვთ შეგნებული და შეთვისებული ამის სწავლა და ცოდნაც.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათი ნაწერი და გამოკვლევანი—ჩვენ, მუშებისათვის დღემდე ისევ ხელმიუწდომელია. ასეთი ცოდნა კი ფართედ უნდა გავრცელებულიყო მუშა ხალხში, რადგანაც ამ არა სასიამოვნო სენს (ლოთობას) უფრო მათში აქვს ღრმად ფესვები გადგმული და სწორეთ ამ მიზეზით მრავალი უსიამოვნება ხდება ბევრ მუშათა ოჯახებში. ამისათვის მე მინდა შევეხო ამ საჭირბოროტო საკითხს მუშათა ცხოვრებაში, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ცოტა სარგებლობას მაინც მოუტანს—ჩემი წერილი ამხ. მუშებს.—ვის არ უნახავს ისეთი კაცი, რომელიც ძლიერ შეწყობილია გადამეტებულ ლოთობას და ის არ იყოს ზნეობით, გრძნობით და გონებით დაქვეითებული?! ალბად, ჩემს ამხანაგებ მუშებსაც არა ერთხელ ქონიათ შემთხვევა დასწრებოდნენ ისეთ ოჯახს, სადაც ცრემლი და უსიამოვნება სჭარბობდა სიხარულს და წესიერ ცხოვრებას და უმეტეს შემთხვევებში ამის მიზეზი იყო წრეს გადასული ლოთობა. რა არის ამაზე მეტი უსახიზღრესი—ჩვეულება მუშისათვის, განსაკუთრებით კი ცოლშვილის პატრონისათვის, ლოთობა არის ერთი უმთავრესი შხამი, რომელიც წამლავს ადამიანის სხეულს, და უკარგავს მას იმ ძვირფასს თვისებათ, რაც აუცილებელი და სასარგებლოა ცხოვრებაში გამოსაყენებლად.

ლოთობა უჩლუნგებს ადამიანს ნერვებს, უხშობს მხედველობას, უკარგავს გრძნობას, უსუსტებს შრომის ძალღონეს და აბაბუნებს ადამიანის ზნეობას და პატიოსნებას, უმახინჯებს გარეგან შეხედულობასაც კი. ერთი სიტყვით, ლოთი ადამიანი ჰკარგავს საუკეთესო ღირსებას ადამიანისას, ჰკარგავს აგრეთვე ძვირფას დროს და სანატრელ ახალგაზრდობას და დასასრულ—სიცოცხლესაც კი. ამგვარ პირობებში მყოფ ადამიანისათვის სიცოცხლე სანატრელია? ასეთი სიცოცხლე ადამიანისა განა სიცოცხლედ ჩაითვლება? ასეთი ადამიანი საზიზღარია ყველასათვის და ამავე დროს შესაბრალიც, რადგანაც ის ბუნებას არ დაუბადებია ამგვარ პირობებში და მხოლოდ თავის შეუგნებლობით და სისუსტით მიჰყოლია ის ასეთ მავნებელ ჩვეულებას და ამიტომ მის სიცოცხლეს უმრავლესობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველა მას პირს არიდებს.

ყველა გაურბის მას, როგორც მავნებელ და გადამდებ სენსა... გაურბიან აგრეთვე მას მისი საყვარელი ცოლ-შვილიც, მეგობრები და თვით მშობლებიც კი. განა ამაზე მეტი უბედურება კიდევ იქნება გალოთებულ მუშისათვის?! ვინ იცის, რამდენი მეგობრული კავშირი არ დარღვეულა ლოთობის შემწეობით. რამდენი საყვარელი მეუღლეობა არ დარღვეულა და რამდენი პატიოსანი მეუღლე უნამუსო ქალად არ გარდაქმნილა.

მერე რათ ხდება ყველა ეს უბედურება? სხვათა შორის, წრეს გადასული ლოთობისაგან რა აფერხებს, ჩვენს მუშებში წინ სვლა-წარმატების სურვილს? ლოთობა. რა არღვევს ხშირად მუშებში ერთმანეთს შორის ამხანაგურ კავშირს?—ხშირათ ლოთობაა ამის მიზეზი.

მუშა ალ. ბ—შვილი.

მოცე—7627, გაკეთებულია სპირტი—109336, არყის ზეთი—2257,6 და ალდემიდი—1458,6. საანგარიშო პერიოდში დამზადებულია კონიაკი—145,—837, არაყი—40,100,8 და სპირტი—109,330.

სპირტის დამზადების პროგრამა არ იყო შესრულებული იმის გამო, რომ გომის ქარხანამ ივნისის ნაცვლად დაიწყო მუშაობა აგვისტოს ბოლოს.

კონიაკის და არაყის დამზადების მხრივ პროგრამა სავსებით შესრულებულია.

ქარხნების წარმოების ომამდე არსებულ დროის წარმოების მაქსიმუმამდე მიყვანა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ტრესტს სევალის სისტემის გაუმჯობესებულ მანქანებთან ერთად ჰქონოდა საკმაო საბრუნავი საშუალებანი ნედლი მასალის დამზადებისათვის.

ტრესტის ფაბრიკატების რეალიზაცია ხდებოდა თვით ქარხნების და ტრესტის გამგეობის მიერ უშუალოდ და აგრეთვე სავაჭრო წარმომადგენლების საშუალებით, რომელთაც ევალებოდათ თავიანთ რაიონებში მხოლოდ ტრესტის ფაბრიკატების გავრცელება.

ოთხი თვის (ივნისის, ივლისის, აგვისტოს და სექტემბერის) განმავლობაში ტრესტის ოპერაცია ფაბრიკატების გაყიდვის გზით გამოიხატება 14,408,802,000 მან. განაღდების უმთავრეს პუნქტს წარმოადგენს თბილისი (9,748,903,000 მან.) საბჭოთა რუსეთში განაღდება აღწევს 2,526,520,000 მან., რაც აიხსნება ღვინის 18 პროც. ზევით თავისუფალი გაყიდვის აკრძალვით.

ამის გამო ტრესტმა მიიღო ზომები მაგარი ღვინის, უმთავრესად პორტვეინის დამზადებისათვის.

1922 წლის ოქტომბრიდან, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალური წლის დასაწყისად, ტრესტს შეუერთდა კიდევ ავჭალის შუშის ქარხანა და ქიმიური ლაბორატორია (ყოფ. ვილარეტისა), შემდეგ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გასცა ბრძანება გადაეცათ ტრესტისათვის „გაზოლიონდა“ (ყოფ. ბლოცკი და კ-ო), სამკურნალო ბალახების და სახ. ბანკის ეფირის ზეთის ქარხნები.

აბასთუმანის არაყის სახდელი ქარხანა კაპიტალური შეკეთების შემდეგ ამუშავებულია 25 დეკემბრიდან. აგრეთვე დამთავრებულია № 3 ქარხნის (ყოფ. კალანდაძის) შეკეთება და ნედლი მასალის შეძენის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნება ამუშავებული.

ტრესტის მიერ შესრულებულია დიდი მუშაობა № 6 ქარხნის ასამუშავებლად, რომელშიაც მოწყობილი იქნება მთელი რიგი ქარხნების: ლუდის, ყინულის და კრახმალის ქარხნები და ქიმიური ლაბორატორია.

ამუშავებულია ავჭალის შუშის ქარხანა. ტრესტის წარმოება 1922 წ. ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის განმავლობაში გამოიხატება შემდეგ ციფრებში; დამზადებულია კონიაკი 1 მეოცედ.—18,000 ბ.. 1 მეორმოც.—9007, არაყი 1 მეოცედ.—3938, 1 მეორმოც.—12092, სპირტი—449,465.

საანგარიშო პერიოდში სამ ქარხანაში (№ 1. 2, 4,) მსახურობდა 66—70 კაცი; სამუშაო ხელფასის საერთო ჯამი უდრის 1,251,920.815 მან., დეკემბერში საშუალო ხელფასი თვითეულ მუშაზე უდრის—5,575,000, მოსამსახურეზე—8,510,000 მან.

ბამბის მოშენება საქართველოში

საქართველოში ბამბის მოშენება აზერბეიჯანთან და სომხეთთან შედარებით ჯერ კიდევ ომამდე იყო სუსტათ განვითარებული. 1914 წლამდე ელისავეტპოლის და ბაქოს გუბერნიებში ბამბის სათესი სივრცე უდრიდა 93.000 დესეტინას, ერევნის გუბერნიაში—44 დესეტინას, მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში კი 11.900 დესეტინას.

საქართველოში ბამბის მოშენების ასეთი სუსტი განვითარება აიხსნება მისი კლიმატიური პირობებით, რომლებიც ხელს უშლიან ბამბის მოშენებას; აგრეთვე მოსარწყავ მიწის განსაზღვრით და მიწის სიმცირით.

ბამბის თესვა საქართველოში ხდებოდა უმთავრესად მის აღმოსავლეთ ნაწილში. ბორჩალოს დაბლობებში და ყარაიაზის რაიონში—მორწყვით და ალაზნის ველზე კი—მოურწყველათ. აღნიშნულ რაიონებში სათესის სივრცე უდრიდა 8,200 დესეტინას და იძლეოდა 122.600 ფუთს დაწმენდილ ბამბას.

ქუთაისის გუბერნიაში თესვა ხდებოდა ქუთაისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში (საჩინოში) და სენაკის და ოზურგეთის მაზრების მახლობელ ნაწილებში. მოკრეფილი ბამბა ქუთაისის რაიონში უდრიდა 29.500 ფუთს.

საქართველოში ბამბის მოშენების დაცემა აიხსნება მთელ რიგ ომის მიერ გამოწვეულ პირობებით: 1916 და 1917 წლებში განსაზღვრული ფასის დადება ბამბაზე; სასურსათო კრიზისი, რომელმაც გლეხების მთელი ყურადღება მიაქცია მხოლოდ პურის მარცვლეულობის დათესვაზე. ყველა ამ მიზეზებმა გამოიწვიეს საქართველოში ბამბის მოშენების თითქმის სრულიად შეწყვეტა.

ეხლა, როცა პურზე ფასს დაკლება ეტყობა, აუცილებელია უნდა ალვადგინოთ ბამბის მოშენების უმაღლესი კულტურა, მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობები მოგვდის, შემოდის მრავალი განცხადებები ბორჩალოს მაზრაში და ყარაიაზში ბამბის მოშენებისათვის მიწის აღების შესახებ. აგრონომ ტიმოფეევის გამოანგარიშებით მიმდინარე წელში თუ კი იქნება ხელსაყრელი პირობები, ბამბის სათესი მიწის სივრცე განისაზღვრება 1.500—2000 დესეტინით, ე. ი. 1,6—1,5 ომამდე არსებულ ზომისა. ამ სივრცის დასათესათ საჭიროა ა̃ა ნაკლებ 10.000 ფუთი თესლი, რომელიც უნდა გამოიწეროს თურქესტანიდან.

საქართველოში ბამბის თესვის უფრო დიდი მასშტაბით განვითარება შესაძლებელია მხოლოდ თბილისის გუბერნიის აღმოსავლეთის ნაწილში, იორის და ალაზნის ველების მოსარწყავ გეგმების განხორციელების შემდეგ, როდესაც სათესი სივრცე აყვანილ იქნება 25 ათას დესეტინამდე.

ქრონიკა

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **ხათესლე ხორბლეულის აკრეფა.** მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში გასულ წელს სესხით გაცემულ ხორბლეულის შეგროვება მიუხედავათ გვიან დაწყებისა კარგად მიმდინარეობს. ახალციხის მაზრაში უკვე შეკრებილია 10,000 ფ. 8800 ფ. ხორბალი, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 96 პროცენტი. ორივე მაზრაში შეკრება გრძელდება და ამ დღეებში დასრულდება.

შრომის კომისარიატში.

ქიათურის შრომის განყოფილება.

— **კონფლიქტები.** მიმდინარე თვის განმავლობაში განყოფილების საკონფლიქტო კომისიამ გაარჩია მხოლოდ სამი საქმე. აგრეთვე კომისიამ მოაგვარა რამდენიმე კონფლიქტი მხარეების შეთანხმებით.

— **უმუშევრები.** ამავე ხნის განმავლობაში უმუშევართა აღრიცხვა არ მომხდარა, რადგან სწარმოებდა უმუშევართა „გაწმენდა“. სამუშაოზე გაიგზავნა 305 კაცი.

— **დახმარება.** განყოფილებამ დახმარება აღმოუჩინა ერთ ქალს 500,000 მან. ხოლო პენსიონერებს დაურიგდათ 27,993,000 მან.

— **შრომის კანონების დაცვა.** შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის გაირჩა 38 საქმე. დაჯარიმებულია სამი ფირმა.

ახალ-სენაკის შრომის ინსპექცია.

— **უმუშევრების აღრიცხვა.** იანვრის განმავლობაში აღრიცხულა 80 უმუშევარი. მოთხოვნილების თანახმად სამუშაოზე გაიგზავნა 18 უმუშევარი.

— **შრომის კანონების დაცვა.** შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის განყოფილების საკონფლიქტო კომისიამ გაარჩია 10 საქმე. მოსამსახურეების სასარგებლოდ 2. დამთავრდა მხარეების მორიგებით 1, უშედეგოთ დარჩა 1. გადაეცა სახალხო სასამართლოს 3. პროცესშია 3.

— **ტვირთზიდვის ხარჯის შესახებ.** ტვირთზიდვის ხარჯის ფულადი შეცვლის გამო შეკრებილია 60.700,300 მან. რომელიც უკვე შეტანილია ხაზინაში შრომის კომისარიატის სახელზე.

თელავის შრომის ინსპექცია.

— **კონფლიქტები.** იანვრის განმავლობაში შემოვიდა 26 კონფლიქტი. გაირჩა უკვე 14 კონფლიქტი. პროცესშია 12.

სხვა და სხვა

— **ცეკავშირი.** საქართველოს კოოპერატივთა ცენტ. კავშირის წარმომადგენელნი ამხ. წივწივაძე და ერისთავი უკვე გაემგზავრენ მოსკოვში სრ. რუსეთის მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალურ კავშირის ყრილობაზე. წარმომადგენლების მიზანია, თანახმად ცეკავშირის რწმუნებულთა მესამე კრების დადგენილებისა, აღნიშნულ ცენტრალურ კავშირში შევიდენ წევრებათ და ამით მჭიდრო კავშირი დამყარდეს რუსეთისა და საქართველოს კოოპერაციის ცენტრთა შორის.

— **ბანდიტები თელავში.** 5 თებერვალს დაახლოებით საღამოს 9 საათზე სად. თელავს დაეცა ყაჩაღების ბრბო, რომლებმაც გატეხეს სადგურის კასა და გაძარცვეს მოსამსახურეები. ყაჩაღები 3 საათს ზარს სცემდენ ყველას, რის განმავლობაში წაიღეს სულ 105.060,000 მან. მძარცველების ბრბო შესდგებოდა 10—15 კაცისაგან, რომლებიც იყვნენ შეიარაღებულნი თავიდან ფეხებამდე.

— **შეფიხათვის.** სოხუმის აღმასრულებელმა კომიტეტმა 1 თებერვალს თავის სხდომაზე დაადგინა ნაშვილევ მსროლელ დივიზიას გადასცეს სამი წლის ვადით 51 დესიატინა მიწა სოფ. ცებელდაში მდებარე, ბაღისა, ყანისა და ბოსტნისათვის.

— **ქურდობა.** 10 თებერვალს მოქ. ლოლობერიძემ განუცხადა სისხ. სამართლის მილიციას, რომ სადგურ აქსტაფაზე, მისი დატუსაღების დროს, ვიღაც არსენ თოფურიძემ გაქურდა მისი დუქანი და 100 მილიონ მანეთის საღირალ ნივთებით გაიპარა ტფილისში. სისხლ. სამართლის მილიციის მიერ მიღებულ ზომების შემდეგ ა. თოფურიძე შეპყრობილ იქნა ნაძალადევში და მისი ბინის გაჩხრეკამ აღმოაჩინა მოპარულ ნივთების დიდი ნაწილი. ჩამორთმეულ ნივთებთან ერთად თოფურიძე მიიყვანეს სისხლ. სამ. მილიციაში.

ხელოვნება

— **აბესალომ და ეთერი.** თებერვლის 21 სახ. ოპერის თეატრში დაიდგმება მეასეჯერ ზ. ფალიაშვილის ოპერა: „აბესალომ და ეთერი“ წარმოდგენას ექნება საზეიმო ხასიათი, რომელიც ასე მცირე ხნის განმავლობაში ასჯერ ოპერის დადგმას ჰქონდა დიდი ინტერესი და ყოველ წარმოდგენას ესწრებოდა დიდძალი ხალხი.

— **კომპოზიტორ დოლიძის საღამო.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის გამოსათხოვარი საღამო, რომელიც მოსკოვით მიემგზავრება საზღვარ-გარეთ. საღამო შესდგება მხოლოდ საკუთარი ნაწარმოებიდან.

— **„ცეცხლის ხმები:“** აიწყო და ამ დღეებში გამოვა პროლეტარულ პოეტის **ხამსონიძის ლექსთა** პირველი წიგნი: „**ცეცხლის ხმები**“ წიგნი ძვირფას ქაღალდზეა დაბეჭდილი და დიდი ფორმატისაა ცალი ეღირება 100.000 მანეთი.

დღეს თეატრებში

— სახელმწიფო ოპერა. კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის საღამო. რუსთაველის თეატრი. სომხური წარმოდგენა. საბჭოთა თეატრი. „ეკლიანი ბუჩქი“. სახალხო სახლი. „რომან“ გლაგოლინის და ვალერსკაიას მონაწილეობით. პროფ.-კავშირთა კლუბი. მე-4—6 სარაიონო კომიტეტების საერთოსარაიონო კრება. მე-2 სახელმწიფო კონსერვატორია. მე-6 საკამერო საღამო მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიის კვარტეტისა მომღერალ ქალის ტერ-დანიელიანის და პიანისტ ვირსალაძის მონაწილეობით. კინო-მინიონ „წითელი ფანარი“. არფასტო „უხილავი ხელი“ მე-3 სერია. კინო-პალასი. „კაბირია“. პაოლო: სულთანის—ცოლის სიყვარული ათას ერთი ღამიდან. კინო-სოლეილი. „რაინდები ყვითელ სამკუთხედისა“. კინო ზერკალი. „ჯუნგლების საიდუმლო“.

ბიბლიოგრაფია

გიორგი ქუჩიშვილის ლექსები „ბავშვებს“.
სახელმწიფო გამომცემლობა.
ტფილისი, 1922 წ.

საბავშო ლიტერატურა, რომელსაც მართლა შეიძლება ქონდეს სითბო და ნოყიერება ნორჩი აზროვნების გასაშლელათ, ორიგინალური ცოტა გვაქვს, და რაც არის, ყმაწვილს წაკითხვიდან ცოტა რჩება, რადგან ვერ სწვდება მის სულს ჰონორარისათვის ნამოქმედარი. თარგმანი ლიტერატურა კი სრულებით ღარიბია ამ მხრივ და ამიტომ საჭიროა მეტი გაცხოველებული მუშაობა, რომ საბავშო ლიტერატურა გაიზარდოს როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ნათელი შემოქმედებით.

ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით პოეტურ ნაწერებს—ლექსებს ბავშვებისათვის. ერთად-ერთი პოეტია შიო ღვიმელი, რომელიც შერჩა ბოლომდის ბავშვების სპეტაკ სიყვარულს და გულ-უბრყვილო ღიმილს. მეორე—უსათუოთ არის გიორგი ქუჩიშვილი, მისი ლექსები „ბავშვებს“ ზედმეტი დამტკიცებაა ამის, წიგნი იწყება მისასალმებელი ლექსით „ბავშებს“:

„მოგესალმებით ბავშვებო
„ჩემო ლაბუა ჩიტებო,
„ყვავილნო გაზაფხულისა
„ძვირფასო მარგალიტებო.
„იჟრიამულეთ, იხარეთ
„გულითა მხიარულითა
„დალალდით დედის ალერსით
„და მამის სიყვარულითა.

ეს რვა სტრიქონიანი ლექსი გამთბარია პოეტის ბავშის გრძნობამდის დასული ექსტაზით, რომელშიდაც ყოველი სიტყვა პატარა ჩიტების ფრთებივით შრიალებს. განსაკუთრებით ლამაზია „ჩემო ლაბუა ჩიტებო“. სიტყვა „ლაბუა“ ისმის კატის ყელზე შებმულ ეჟვანის ხმასავით და გულს ხვდება სიწმინდით. მეორე ლექსი—დიალოგი „პატარა მეგობრებს“ კიდევ უფრო შესანიშნავია თავისი მოხდენილი დარიკოს და ქეთინოს გაბაასებით, პირველს ავათ ყავს კუკლა „ბაია“ ხოლო მეორე არის მნახველი, და მათი გულუბრყვილო ტიტინი ავადმყოფზე, აშაქრებს გულს და იწვევს ბავშვისათვის სიხარულში გადასულ სევდას, რომელიც თავდება ასე:

დარიკო: „რო ნუ გეშინია გაციება
ბის ბრალია.
ქეთინო: „სუუ, ჩუმად, გეთაყვა
„ძლივს მილულა თვალია.
დარიკო: „უი, ლოგინში გიწევს?
ქეთინო: „ჰო. იქნება იძინოს,
დარიკო: „მართალს ამბობ ქეთინო
„იქნებ ოფლიც იდინოს·
„მშვიდობით გენაცვალე,
„ღმერთს ვსთხოვ, რომ გილხინოს
„და ეგ შენი ბაია
„სულ მალე მოგირჩინოს.

მესამე ლექსი „ჯუჯი, ჯუჯი“ სავსეა ამგვარივე გაფრენილი სტრიქონებით. პატარა გოგონა საკენკს უყრის ოქროსფერ წიწილებს და ეძახის „ჯუჯი, ჯუჯი“:

„ჯუჯი, ჯუჯი, წიწილებო
„მოიყარეთ ყველამ თავი.
...„ერთი, ორი, სამი, ოთხი—
„ქა, მეხუთე არ მოსულა!
„ფეხ მოტეხილი აკლია...
„იჰ, ჯერაც არ დაკარგულა.

აქ შესანიშნავი სურათია, სადაც პატარა გოგონა თავის ქრცევით იწვევს აღტაცებას. განსაკუთრებით, როცა წიწილებს ითვლის, და იკვირვებს ერთი რომ დააკლდება „ქა“, მაგრამ შეამჩნევს რომ აკლია ფეხმოტეხილი და თითქოს ნაწყენი ამბობს „ჰი, ჯერაც არ დაკარგულა“. აქ მოცემულია უნაკლოთ ბავშის სული და განცდა.

კიდევ:

გოგონა ბანს თავის კუკლას და ეხვეწება მეგობარს მოსახმარებლათ:

„ქაჯან, ქაჯან,
„აბა ჩქარა!—
„მომეხმარე, მომეშველე
„ე ბალღი არ გაგვიცივდეს—
„მალე წყალი გაანელე!

და რა ლამაზია ტიტინი პატარა დედის:

„ჭუპა, ჭუპა! ჭუპა, ჭუპა—
„დათვი მგლე და შენ მსუქანი.
„გაივსე და გაჩახჩახდი,
„შეგემატოს დღე და ჯანი.

ამ სტრიქონებს არ ჰპირდება გამოტანა მზეზე, რომლებიც თავის თავათ ბრწყინავს, რომელთა შორის განსაკუთრებული იერით მეტყველობს: „დათვი მგლე და შენ მსუქანი“. ყველა ლექსი ასეა გაფრენილი და ბავშის გულით აფეთქებული. წიგნი სუფთათაა გამოცემული და ღირს 15.000 ათ. მან.

სურათებში ყველაზე ლამაზია ცინდლების ვახშმობა, რომლებიც პატარა გაწკეპილი ულვაშებით სხედან მაგიდასთან და. კისერზე ხელსახოცებ ჩამოკიდებულნი შეექცევიან ვახშამს. სურათს აქვს ფრანგული წარწერა ავტორის, რომელიც არ იკითხება. წიგნში არის აგრეთვე 20 სურათი, დაბეჭდილი ლექსების თავზე შინაარსის მიხედვით.

კახით.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის კავშირში.

— მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე 9 თებერვალს დაადგინა: გაუხსნას კრედიტი 10 მილიონი მანეთი კავშირის თანხებიდან ბოტანიკურ ბაღის გამგეობას ადგილობრივ სკოლა-კლუბის მოსაწყობად. ეს თანხა დაფარული იქნება ბოტანიკურ ბაღის 2 პროცენტიან შემოსავლიდან.

— ამხ. ბედუკიძის მოხსენების თანახმად პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მისცეს კულტურულ განყოფილების გამგეს მიიღოს ზომები საბრეშუმო სადგურის და საჯინიბოს მუშებისათვის სკოლის დაარსების საქმის მოსაწყობად.

— კავშირმა გამოიმუშავა თეზისები შრომის დაცვის შესახებ.

— პროფკავშირის საბჭოს ცირკულიარის თანახმად საკულტურო მუშაობაში სამკითხველოს აუცილებლად დაარსების მუშა-მოსამსახურეთათვის, პრეზიდიუმმა ამ საქმის ხელმძღვანელობა და მოწესრიგება მიანდო ამხ. ბედუკიძეს.

ქიმიკოსთა კავშირში.

ქიმიკოსთა კავშირის კულტ-განყოფილების მუშაობა გასული თვის იანვრის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში: იანვარში წერა-კითხვის უცოდინარი ითვლებოდა სულ 2 კაცი. სკოლები როგორც დეკემბრის განმავლობაში, ისე იანვრის განმავლობაშიც განაგრძობდენ მუშაობას. ახალი სკოლა არ გახსნილა. პროფესიონალური ტეხნიკური კლუბი არსებობს კავშირთან. სკოლებში მუშები დადიოდენ წესიერათ. სწავლა-განათლების მხრივ კავშირის წევრები კარგად არიან დაკმაყოფილებულნი. პროფ.-აგიტაციის და პროფ.-პროპაგანდის მხრივაც საქმე კარგად არის დაყენებული. კულტ კომისიას იანვარში ქონდა სამი სხდომა. სხდომებზე განსაკუთრებით ირკვეოდა კულტგანათლების საქმეების საკითხები. ბორჯომის განყოფილებას სისტემატიურად ეგზავნება ინსტრუქციები, გაზეთები და ცირკულიარები. სა ლუბო მუშაობაც ჩქარი ნაბიჯით მიმდინარეობს. ასანთის ქარხნის „ოქტომბრის“ სახელით მუშებმა მოახდინეს ყოფ. ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშებთან ერთად თავიანთი კლუბის გაერთიანება. იანვრის განმავლობაში გამოწერილი იყო ყველა ადგილობრივი გაზეთები და აგრეთვე გამოწერილ იქნა გაზეთები მოსკოვიდან „პრავდა“, „იზვესტია“ და „რაბოჩი“. დაწესებულებისათვის გაზ. „მუშა“ გამოწერილი იყო 27 ცალი. ამას გარდა კავშირი ღებულობდა ცენტრალურ კომიტეტის ორგანოს „რაბოჩი-ხიმიკ“-ს 26 ცალს. ამ საანგარიშო თვეში კულტფონდში შემოვიდა 41.882.000 მან. გასავალი იყო 38.200.000 მან. ამავე თვეში კავშირმა გადაიხადა ქიმიკოსთა კავშირის 5 წლის არსებობის იუბილე და 28 იანვარს მოაწყო ამის გამო განსაკუთრებული კონცერტი-საღამო. იუბილეს აღსანიშნავად გაზეთმა „მუშამ“ უძღვნა გა საკუთრებული ნომერი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ახალგაზრდობის კომკავშირის მე-3-ე რაიკომის კლუბში (კ. ხეთის მოედანი) შესდგება რაიონის წევრების და კანდიდატების, იმავე რაიონის ახალგაზრდობის კომკავშირის წევრების და სამხედრო კომუნისტების

ხაერთო კრება.

დღის წესრიგი: 1. ამხ. მიასნიკოვის მოხსენება ლოზანას კონფერენციის შედეგების და მომავალ პერსპექტივების შესახებ.

2. ამხ. კვიტაშვილის მოხსენება საგანგებო დანიშნულების ნაწილების შესახებ.

3) მიმდინარე საკითხები.

მე-3-ე რაიკომის მდივანი ა. ვარტაპეტიანი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომი აძლევს წინადადებას გამოცხადდენ რაიკომის „აგიტპროპ“-ში შემდეგი ამხანაგები: ავაქოვი, ვართანოვი (ფშ. სამ. საბ.), არ. როდოვიანი, ხაჭაპურიძე, ბაბუტოვი, გინზბურგი, ლიადოვსკი, ნ. ზავარიანი, არჩ. მი აძე, რუხაძე, შავერდოვა და სურ. ერზიკიანი.

— ოთხშაბათს 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე სკოლის გარეშე სწავლების სახლში გაიმართება სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვან. ამხ. პენიაკოვი.

— ოთხშაბათს 14 თებერვალს და შაბათს 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიმართება ბეჭდვითი საქმის მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვან. ამხ. მედვედიევი.

— შაბათს 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლაში გაიმართება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღ. ამხ. ნოვიკოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილება.

ახალგაზრდათა კომკავშირის იაჩეიკების მუდმივ სახელმძღვანელოთ, ახალგაზრდათა [illegible] დღის, საქართველოს კომპარტიის მეოთხე რაიონული კომიტეტი ამაგრებს ახალგ. კომკავშირთან შემდეგ ამხანაგებს:

1. ლიოზნიანსკაია—იაჩეიკა ექსპედიციის.
2. დუბროვინა—იაჩეიკა ქალაქის აღმასკომის.
3. ამო ბრუტიანოვი—იაჩეიკა მეტყავეების.
4. სტეფანიანი—იაჩეიკა საქ. საგ. კომის.
5. დევდარიანი გაიოზ—იაჩეიკა საქ. საფაბრ. მოსწავლ.
5. ზაცკევიჩი—იაჩეიკა ელექტროტეხნიკ.

ყველა გამორჩეული ამხანაგები შედიან აგრეთვე საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის მეოთხე რაიკომის პროპ-კოლექტივში.

ზემო აღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ 3 დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. ახ. კომკავშირის მეოთხე რაიკომის მდივანთან.

პასუხისმგებელი მდივანი რუბენი.

— ოთხშაბათს, 14 თებერვალს დღის 1 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ტფილისის კომიტეტის ბინაზე იწვევს პოლიტიკურ და მარქსისტულ წრეების და რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგეობის თათბირს.

მოწვეული არიან შემდეგი ამხ.: გალკინი, რეზტსკი, გეგეშიძე, აპენიონსკი, ანთიძე, ბუდილოვი, ზილბერმანი, პენიაკოვი, ფრანგულიანი, ერქომაიშვილი, ვარდანიონი ფლორა, ბარინოვი, სურაევენკოვი, ზექანოვი, დეავგიონი, სტეპანიანი, მედ[illegible]ვი, ქ[illegible], რუკ-ანი, კარაგულიანცი, ჯაფარიძე, გო და ალექსანდრე. კოსტანიანი, [illegible] ანი, [illegible] და ნოვიკოვი.

დღის წესრიგი:

1. პოლიტიკურ წრეებში და რაიო მში მუშაობის მეთოდების შესახებ.
2. რაიპარტშკოლების პროგრამის
3. მიმდინარე საქმეები.

ტფილისის კომიტეტის საგიტ პროპაგანდო განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური მეოთხე რაიკომი იუწყება, რომ 14 ვალს, ხუთ საათზე პროფკავშირთა დიდ დარბაზში შესდგება მეოთხე წევრების და კანდიდატების საერთო ონო კრება.

რაიკომის პასუხისმგებ. მდივანი

პროფესიონალური

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუ თა საბჭო წინადადებას აძლევს ამ ვერსიტეტის კურსისა თუ ფაკულტე მეცნიერო და ლიტერატურულ წრეებ გეოზ ებს და ყველა სტუდენტურ ორ ციებს, რომელთაც აქვთ შტამპები დები, სამი დღის ვადაში ჩააბარონ სტ. საბჭოს ტექნიკურ მდივანს უნივ ტის შენობაში, საბჭოს ოთახში, დღ საათიდან 2 საათამდე.

სტუდენტთა საბ

განცხადებები

ვადგენ ახალ მოსამზადებელ ჯგუფებს მომავალ სამოსწავლო წლის თვის ტეხნიკუმ., მუშფაკულტ., სამხედრო სასწავ., საშებიო ინსტ ში, შრომის სკოლაში, საერთო კურსებზე შესასვლელად მე-5, მე-
მე-7 კლასში და
მათემატიკაში,
(არითმეტ. ალგებრა გეომეტ. და ტრიგონ.)
რუსულ, გერმანულ ენებში ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებ
ჩაწერა და მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. პლეხანოვის და ალ
ქუჩის კუთხე № 25 და 5. (102—3—3)

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 14 თებერვალს,
კომპოზიტორის
ვიქტორ დოლიძის
საღამო
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათ
კრ. 178—1—1

ტფილისის აღმასკომის
პრეზიდიუმი
აცხადებს,
რომ ამხ. კამოს ძეგლის პროექტების მიღება გრძელდება 20 თ ლამდე, რის შემდეგ წარმოდგენილი პროექტები [illegible] პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნას აღმასკომის სამდივნოში, აქ ძლება ამ საკითხის შესახებ ყოველგვარ ცნობების მიღება დილის 1 თიდან 3 საათამდე.
(კრ. 175—2—2) პრეზიდიუმი.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი და არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთო ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელ ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძისი და ექიმი ვ. გ. მეუნარგი
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბე
№ 22 ტელეფ. 1—44. (77—25—11)

დოქტორი გ. მეგრაბიანცი
„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი ფილტვების—ელექი და გულის ავადმყ. სპეც. წამლობა მა
შეშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინ
იღებს 9—12 საათამდე დილ. და 5—7 ს. საღამოს.
ბებუთოვის ქუჩა № 23 (684—2

ქ. თბ. 1 რაიონის სახალხო მოსამართლე
იწვევს სასამართლოში გიორგი ხარიტონის ძე პარულავს, როგორც სუხეს ანნა ივანეს ასული პარულავთან განქორწინების შესახებ და ხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის ნებისა არ გამოცხადება, დანიშნულ იქნება საქმე და გამოტანილი ბელი დადგენილება. 1-ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება მართლის ქუჩაზე № 32.
124

ქ. თბ. მე-9 რაიონის სახალხო მოსამართლე
იწვევს სასამართლოში ტურგენევის ქ. № 4. ვლადიმერ ალექსის ძე დიშვეს, რათა გამოცხადდეს იგი ხსენებულ სასამართლოში განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან წარმოსადგე ვის მისამართისა საქმეზედ, რომელიც აღძრულია სასამართლოში ულის მარიამ შევალდიშვილის სახელობაზედ დატოვებული სასამ კანცელარიაში ჩაითვლება ჩაბარებულად და საქმე არსებითი გა იქნება სასამართლოს მიერ.
11

ქ. ტფილისის მე-9 რაიონის სახ. მოსამართ
იწვევს ერთან ტიგრანის ძე ოგანეზოვს, როგორც მოპასუხეს საქმ მიხეილის ასულის შალამოვას ძიებაზე ხსენებულ ოგანეზოვის და სხ გარდაცვალებულ ივანე ივანეს ძე ხარაზოვის სასულიერო ანდერძის, ბულის თბილისიზ ნოტარიუს ქართველიშვილთან 27 ოქტომბერს 1919 წ. გაუქმების თაობაზე, რათა გამოცხადდეს იგი ამ განცხადების გამო დღიდან ორი თვის ვადაში სახალხო სასამართლოში—ტურგენევის ქ და განაცხადოს თავისი ადგილის მყოფობის მისამართი, წინააღმდეგ ვაში საქმე მოსმენილ იქნება და გადაწყვეტილა, ხოლო უწყება მი ბაზე დატოვებულ იქნება სასამართლოს კანცელარიაში და ჩაით ბარებულათ.
№ 125

დავკარგე სახალხო გამომკვებთა მოსამსახურეთა [illegible] გან მოცემული საწევრო წიგნაკი დიანოზ გელოშვილის სახელზე. ვაცხადებ გაუქმებულათ.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.